



Co-funded by
the European Union



გზამკვლევი

დღრის მოშენებაში

2024



**გზამკვლევი
ღორის მოშენებაში**

2024

VETPRO.EU.EDU.GE

გზამკვლევი ღორის მოქმედებაში

გზამკვლევის მიზანია, თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით, მელორეობის სფეროში მოღვაწე ფერმერებს, დაინტერესებულ პირებს და სხვა, მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ღორის დაავადებების, ღორის კვების, ფერმის მენეჯმენტისა და ფერმის განვითარების შესახებ.

ავტორები:

მაია კერესელიძე
დავით ბოსტაშვილი

რედაქტორი: თენგიზ ყურაშვილი
ყდის დიზაინი: გიორგი წულაია
დაკაბადონება: თამრიკო ქავყარაძე

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. ვერც ევროკავშირი და ვერც ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო (EACEA) ვერ იქნებიან პასუხისმგებელი მათზე.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

ISBN 978-9941-9662-8-6

გამომცემლობა: „დანია“

© ევროპის უნივერსიტეტი, 2024



შესავალი

გზამკვლევი შემუშავებულია ევროკომისიის ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „სა-ვეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479) ფარგლებში, რომლის მიზანს შეადგენს:

- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და მათი შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნებთან დაახლოვება;
- საქართველოში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კომპეტენციების, უნარებისა და დასაქმების პოტენციალის გაზრდა განახლებული ბიბლიოთეკისა და ვეტერინარიის პროფესიონალებისთვის შემუშავებული ონლაინ კურსების (ე.წ. MOOC-ის) მეშვეობით;
- თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების თანასწორობის და არადისკრიმინაციის ხელშეწყობა;
- საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების მექანიზმების გაძლიერება;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის გადამზადება საქართველოში ვეტერინარიის სასწავლო პროგრამისა და ვეტერინარული განათლების გრძელვადიანი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- ევროკავშირის პარტნიორ დაწესებულებებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ვეტერინარიის მეცნიერებათა სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით და ამით არსებული პრაქტიკის გაღრმავებისა და გაუმჯობესებისა და პარტნიორი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

სარჩევნი

| | |
|--|----|
| ღორის ძირითადი დაავადებები..... | 6 |
| ღორის წითელი ქარი..... | 6 |
| პასტერელოზი | 7 |
| ლეპტოსპიროზი | 8 |
| სალმონელოზი | 9 |
| კოლიბაქტერიოზი (ეშერიხიოზი) | 11 |
| აუესკის ავადმყოფობა (ცრუ ცოფი) | 12 |
| ღორის კლასიკური ქირი | 13 |
| ღორის აფრიკული ქირი..... | 15 |
| ღორის გრიპი (ინფლუენცა)..... | 16 |
| | |
| ვაქცინაციის სქემა | 18 |
| | |
| მეღორეობაში გამოსაყენებელი პრეპარატები | 19 |
| ანტიბიოტიკები | 19 |
| ორგანული მუხავები | 19 |
| იმუნოსტიმულატორები..... | 19 |
| ვიტამინები და ამინომუხავები | 20 |
| კოქციდიოსტატიკები..... | 20 |
| | |
| ფერმის ბიოუსაფრთხოება | 21 |
| დეზობარიერი..... | 21 |
| ღორის ფერმის რეცხვა | 21 |
| დეზინფექცია | 22 |
| დეზინსექცია და დერატიზაცია | 22 |
| მომსახურე პერსონალი | 22 |

სარჩევი

| | |
|--|----|
| ლორის ჯიშები | 23 |
| ლორის გამოზრდა..... | 24 |
| ჯანმრთელი გოჭის მიღება და გამოზრდა..... | 24 |
| ლორის სუქება და მოვლა..... | 25 |
| მაკე და მანოვარა ლორის მოვლა | 25 |
| ლორის ფერმის ინვენტარი და ტექნიკა..... | 26 |
| | |
| ლორის კვება | 27 |
| კვების თავისებურებანი | 27 |
| გოჭის კვება..... | 28 |
| სასუქი მოზარდის კვება | 28 |
| მაკე ნეზვის კვება | 29 |
| საკვები დანამატები მელორეობაში | 30 |
| | |
| ფერმის მენეჯმენტი | 32 |
| ფინანსური მენეჯმენტი..... | 32 |
| ბიუჯეტირება | 32 |
| წარმოების დაგეგმვა და მენეჯმენტი | 32 |
| შესყიდვების მენეჯმენტი | 33 |
| ვეტერინარის და ზოოტექნიკოსის მომსახურება | 33 |
| | |
| ლიტერატურა..... | 34 |

ღორის ძირითადი დაავადებები

ღორის წითელი ქარი

ღორის წითელი ქარი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება მწვავე მიმდინარეობისას სეპტიცემიით და კანის ანთებითი ერთეულით, ქრონიკული მიმდინარეობისას კი - ენდოკარდიტით და ართრიტით.



ეკონომიკური ზარალი. წითელი ქარი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეღორეობას. ლეტალობა 55-80%-ია. ავადობა 20-30%-მდე ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები დანახარჯები, რომელიც აუცილებელია ავადმყოფობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ღორი უმთავრესად ავადდება 3-12 თვის ასაკში. გოჭების (1-2 თვის ასაკამდე) მდგრადობა წითელი ქარის მიმართ განპირობებულია კოლოსტრარული იმუნიტეტით, ხოლო ზრდასრული ღორის მდგრადობა - ბუნებრივი რეზისტენტობით. დაავადების აღმძვრელის წყაროა კლინიკურად ჯანმრთელი მიკრობმატარებელი და ასევე დაავადებული ღორი, რომელიც მიკრობს გამოყოფს შარდთან, ფეკალთან და კანის ჩამონაფცქვენებთან ერთად. აღმძვრელი ხშირად გადააქვთ მღრღნელებს, სისხლის მწოველ მწერებს და ფრინველებს.

ამთვისებელი ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი წითელი ქარის ბაქტერია მრავლდება პირველადი ლოკალიზაციის ადგილზე (ნუშისებრი ჯირკვლები, ნაწლავის ფოლიკულები, დაზიანებული კანის ადგილები) და იწვევს ალერგიულ მოვლენებს. გარემო არის არახელსაყრელ პირობებში და სტრესის დროს ბაქტერიები გადალახავენ ადგილობრივ დამცველობით ბარიერს, იჭრებიან სისხლსა და პარენქიმულ ორგანოებში, რასაც მოჰყვება სეპტიცემია. ბაქტერიების ინტენსიური გამრავლების და ტოქსიკური პრო-დუქტების დიდი რაოდენობით დაგროვების გამო ადგილი აქვს შინაგანი ორგანოების და ქსოვილების ანთებას და დისტროფიულ ცვლილებებს, რაც გამოიხატება თვალსაჩინო კლინიკური ნიშნებით.



მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 2-5 დღეა, ზოგჯერ შეიძლება მეტხანსაც გაგრძელდეს ან უფრო ხანმოკლე იყოს. დაავადება იწყება ცხოველის მოწყენილობით და სხეულის ტემპერატურის 42 °C-მდე და ზევით მოულოდნელი მომატებით. ღორი დაავადებული და მოღუნებულია, უმთავრესად წევს, საკვებს არ იღებს, ბარბაცით გადაადგილდება, აღინიშნება ყაბზობა, კუნთების კანკალი და გულის უკმარისობა. ზოგჯერ ადგილი აქვს ღებინებას, კონიუნქტივიტს და გოჭში დიარეას. გულის უკმარისობას ორგანიზმი მიყავს

ფილტვების შეშუპებამდე, გაძნელებულ სუნთქვას – კანის ციანოზამდე, რომელიც გამოხატულია ყურებზე, კიდურების შიგნითა ზედაპირსა და მუცელზე. ერთეული ლაქები დასაწყისში მოვარდისფროა, შემდეგ კი მუქ წითელ ფერს ღებულობს და სხვადასხვა გომეტრიული სხეულების მსგავსია. ისინი ჩნდება ავად-მყოფობის დასაწყისში, 1-2 დღის შემდეგ და შეიმჩნევა ცალკეულ ინდივიდში. ავადმყოფობა გრძელდება 2-4 დღე.

მკურნალობა. წითელი ქარის ეფექტურ სამკურნალო საშუალებად ითვლება ჰიპერიმუნური შრატი და ანტიბიოტიკები. შრატი შეჰყავთ კუნთში ან კანქვეშ 1.5 მლ. კგ ცოცხალ მასაზე. ცხოველის მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა შრატის ნახევარი დოზის შეყვანა ყურის ვენაში.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. პროფილაქტიკის ქვეშ იგულისხმება ღორისთვის ნორმალური კვების და მოვლა-შენახვის პირობების შექმნა, მტკიცედ დაცული ზოოჰიგიენური პირობები. რაციონში პროტეინის, მიკროელემენტების და ვიტამინების დაბალანსება. სისტემატურად უნდა ტარდებოდეს მელორეობის ნაკელის გატანა, სადგომის დასუფთავება, გეგმური დეზინფექცია და ბრძოლა მღრღნელებთან და მავნე ფეხსახსრიანებთან. სპეციფიკური პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წითელი ქარის საწინააღმდეგო დამცველობითი ვაქცინაციის ჩატარება. და-ავადებულს დაუყოვნებლივ უკეთებენ იზოლაციას და მკურნალობენ, ჯანმრთელს ცრიან ვაქცინით და 10 დღის განმავლობაში დაკვირვებას აწარმოებენ. მეურნეობაში ღორის წითელი ქარის გაჩენის შემთხვევაში იკრძალება ღორის გაყვანა და შემოყვანა, გაუვნებელი ხორცის და ტყავ-ნედლეულის გატანა. არაკეთილსაიმედო ღორს უტარებენ იზოლაციას და მკურნალობას. აუცილებლობის შემთხვევაში ღორს სპეციალურ სასაკლაოზე კლავენ. ასეთი ღორის ხორცის გამოყენება მხოლოდ მოხარშვის შემდეგ შეიძლება.

არაკეთილსაიმედო მეურნეობიდან შეზღუდვა იხსნება გამოჯანმრთლების ან დაკვლის შემთხვევიდან 14 დღის შემდეგ.

პასტერელოზი

პასტერელოზი შინაურ და გარეულ ცხოველთა ინფექციური დაავადებაა. იგი ხასიათდება მწვავე მიმდინარეობით, სეპტიცემიის, სასუნთქი და კუჭ-ნაწლავის სისტემის ლორწოვანი გარსების ანთებით.



პასტერელოზით ავადდება ყველა სახეობისა და ასაკის რქოსანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი და ბოცვერი. პასტერელოზით შეიძლება დაავადდეს ადამიანიც.

ეკონომიკური ზარალი განპირობებულია მაღალი ლეტალობით, პროდუქციის ხარისხის შემცირებით. მხედველობაშია მისაღები ის დანახარჯი, რომელიც საჭიროა პროფილაქტიკის და ლიკვიდაციისთვის.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ინფექციის აღმძვრელის წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი და დაავადებაგადატანილი, მიკრობმატარებელი ცხოველები. დაავადების აღმძვრელი – პასტერელები - ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალით, შარდით და სხვა გამონაყოფით, განსაკუთრებით ცხვირიდან გამონადენით. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს სტრეს-ფაქტორები, მაღალი და დაბალი ტემპერატურა, მოუწყობელი ტრანსპორტით მგზავრობა და სხვა. ცხოველის დაავადება ხდება საკვებით და აეროგენურად. პასტერელოზის წარმოშობას ძირითადად უკავშირებენ ცხოველის ორგანიზმის რეზისტენტობის დამაქვეითებელ ფაქტორთა არსებობას, მათ შორის, პირველ რიგში, აყენებენ კვების, განსაკუთრებით კი ორგანიზმში ვიტამინების უკმარისობას.

მიმდინარეობა და სიმპტომები. პასტერელოზის ინკუბაციური პერიოდი ხანმოკლეა, გრძელდება რამდენიმე საათიდან 2-3 დღემდე. მიმდინარეობს ძირითადად ზემწვავე და მწვავე ფორმით. აღინიშნება დაავადების ქვემწვავე და ქრონიკული ფორმაც. ზემწვავე ფორმის დროს აღინიშნება საერთო მდგომარეობის დაქვეითება, ტემპერატურის მომატება 41-42 °C-მდე, სუნთქვის აჩქარება და გაძნელება, უმადობა, ძლიერი წყურვილი. ღორი უფრო ხშირად წევს. ზოგჯერ უზიანდება ფილტვები და პლევრა. იგი 24-28 საათში კვდება.

მწვავე მიმდინარეობისას კლინიკური სურათი უფრო ინტენსიურად არის გამოხატული. დაავადების საერთო სიმპტომების გარდა, ვლინდება კრუპოზულ-ფიბრინული პლევროპნევმონიის ნიშნები. ტემპერატურა 41°C-ზე მეტია და რჩება დაავადების პერიოდში. ავადმყოფს ახველებს, სუნთქვა გაძნელებულია.

ბული და აჩქარებული აქვს. მის გასაადვილებლად დგას ფეხებგამლილი და პირდაღებული. ამავე მიზეზით ზოგჯერ ღებულობს მჯდომარე ძაღლის პოზას. ცხვირიდან გამონადენი ლორწოვან-სეროზულია, შემდეგ კი ლორწოვან-ჩირქოვანი. დასაწყისში აღინიშნება ყაბზობა, შემდეგ კი ფაღარათი. შეშუპებითი ჰიპერემიის ნიადაგზე წარმოიშობა წითელი ლაქები, ზოგჯერ კი მრავალი წვრილი ჰემორაგია. დაავადება 3-8 დღე გრძელდება და უმეტესად ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება.

ქრონიკული მიმდინარეობისას აღინიშნება კუჭ-ნაწლავის აშლილობა, მადის თითქმის დაკარგვა, გახლმობა, სახსრების შესივება, მშრალი ეგზემის განვითარება და კანის საფარველზე ქერტილის წარმოქმნა. პროცესი 3-6 კვირამდე გრძელდება. განკურნება იშვიათია. ღორებში პასტრელოზი ხშირად მიმდინარეობს როგორც მეორადი ინფექცია ჭირის, პარატიფის, აუესკის დაავადების დროს.

მკურნალობა. პასტრელოზის დროს ეფექტურია, თუ ის დროულად ჩატარდა. ყველა ავადმყოფს და მათთან შეხებაში მყოფ ცხოველს უკეთებენ ჰიპერიმუნურ შრატს ინსტრუქციის მიხედვით. შრატთან ერთად გამოიყენება ანტიბიოტიკები.

დაავადების საშიშროებისას მეურნეობაში არსებული სულადობის სწრაფად დასაცავად ჯერ იყენებენ შრატს პროფილაქტიკური დოზით. 14 დღის გასვლის შემდეგ კი ატარებენ აქტიურ იმუნიზაციას ვაქცინით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. დაავადების აცილების მიზნით უნდა ვერიდოთ ნახირისა და ცხოველთა ჯგუფში ახალი ცხოველების შეყვანას საკარანტინო დროის გასვლამდე. ცხოველთა კვება და მოვლა-შენახვის პირობები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს. ცხოველი უნდა იკვებებოდეს ვიტამინებით, ცილებით, მიკრო და მაკრო ელემენტებით, ბალანსირებული საკვებით. შენობა მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისად ცხოველის, სახეობისა და ასაკის გათვალისწინებით, ასევე სათანადო მიკროკლიმატის დაცვით.

პასტრელოზით დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ტანხორცისა და დაკვლის პროდუქტების გაშვება უმი სახით დაუშვებელია.

ლეპტოსპიროზი

ლეპტოსპიროზი ინფექციური, ბუნებრივ-კერობრივი დაავადებაა, რომელიც ვლინდება ციებ-ცხელებით, ჰემოგლობინურით, კანისა და ლორწოვანი გარსების სიყვითლით და ნეკროზებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ატონიით, აბორტებით, სუსტი სიცოცხლისუნარმოკლებული ნამატის მიღებით და პროდუქტიულობის მკვეთრი დაქვეითებით.

ლეპტოსპიროზით ავადდება მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, ფრინველი და ადამიანი.

ეკონომიკური ზარალი ლეპტოსპიროზის დროს საკმაოდ დიდია. ზარალი განპირობებულია მასიური ნაყოფის მოგდებით და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებაზე დანახარჯით.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. სასოფლო-სამეურნეო ცხოველებიდან ბუნებრივ პირობებში ყველაზე ხშირად ავადდება ღორი და მსხვილი რქოსანი პირუტყვი.

ღორი ლეპტოსპიროზით ავადდება ყველა ასაკში, მაგრამ გოჭები უფრო ამთვისებლები არიან. მათში ლეპტოსპიროზი მძიმედ მიმდინარეობს და მათალია ლეტალობის პროცენტი. ქუბებში და კერატებში დაავადება ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

ინფექციის აღმძვრელის წყაროა დაავადებული ცხოველი და დაავადებამოხდელი ღორი, რომელიც გარემოში აღმძვრელს გამოყოფს ძირითადად შარდთან ერთად. ლეპტოსპირების ნაწილი შეიძლება გამოიყოს ფეკალთან ერთად. ღორში გამოჯანმრთელების შემდეგ ლეპტოსპირამტარებლობა შეიძლება გაგრძელდეს ერთ წლამდე. ლეპტოსპირას ბუნებრივ რეზერვუარებს წარმოადგენენ თავისებურთა გვარის მღრღნელები.

ინფექციის აღმძვრელის გადაცემის ფაქტორია წყალი, რომელიც დასვრილია ავადმყოფი ცხოველების შარდით, გუბები საძოვრებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზაფხული წვიმიანია. ინფექციის აღმძვრელის გადაცემა ხდება აგრეთვე დაინფიცირებული ან დაავადებული ცხოველების გამონაყოფებით დასვრილი საკვებისა და ქვეშაფენის მეშვეობით.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 3-20 დღეს გრძელდება. ლეპტოსპიროზი მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად.

დაავადების მწვავე მიმდინარეობა აღინიშნება გოჭებში. პირველად ავადდებიან 1-6 კვირის გოჭები ან 2-3 თვის ასხლეტილები. დაავადებულებს აღინიშნებათ მაღალი ტემპერატურა (41-41,5 °C), მოღუნება, მადის დაკარგვა, მობარბაცე მოძრაობა, კრუნჩხვები და ეპილექსიური მოვლენები, ფატარათი, იშვიათად ყაბზობა, პირღებინება, კონიუნქტივიტი და ცრემლდენა. დაავადების მე-3-4 დღეზე ზოგიერთ გოჭს ემჩნევა ლორწოვანი გარსებისა და კანის მოყვითალო შეფერილობა. სისხლიანი შარდი იშვიათად შეიმჩნევა. ცხოველი სწრაფად ხდება. გულის მოქმედება სუსტდება, რის შედეგადაც ვითარდება ყურების, კულის, მუცლის და უკანა კიდურების შიგნითა ზედაპირის კანის შეგუბებითი ჰიპერემია. ავადმყოფობა გრძელდება 5-7 დღე. გოჭები იხოცება დაავადებიდან 2-4 დღის შემდეგ.

ქვემწვავე მიმდინარეობისას ლეპტოსპიროზის სიმპტომები იგივეა, რაც მწვავეს დროს, მაგრამ ნაკლებად გამოხატული. სხეულის ტემპერატურა პერიოდულად იცვლება, ხან ზემოთ, ხან კი ნორმამდე ჩამოდის. ბევრ დაავადებულს კანი უნეკროზდება და მკვდარი ნაწილები ჩამოიფრცქვნება. ზოგჯერ ნეკროზის შედეგად გოჭებს ყურის ნიჟარები და კუდი ძვრება.

ლეპტოსპიროზის ქრონიკული მიმდინარეობა შეიმჩნევა კერატებში, მაკე და მაწოვარ ქუბებში (ნეზვებში). შეიძლება ადგილი ჰქონდეს სუსტ ციებ-ცხელებას, მადის დროებით შეწყვეტას. შეიმჩნევა კანის ნეკროზი ხშირად ცურის მიდამოში. დამახასიათებელია აბორტები მაკეობის ბოლო პერიოდში.

მკურნალობა. ლეპტოსპიროზით დაავადებულ ცხოველებს გამოაცალკევენ და მკურნალობენ. სპეცი-ფიკურ სამკურნალო საშუალებად იყენებენ პოლივალენტურ ჰიპერიმუნურ შრატს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ყველა ახლად შემოყვანილი ცხოველები უნდა მოთავსდეს 30 დღიან კარანტინში.

ფერმებში, სადორეებში, ეზოებში, რომლებიც ითვლება სტაციონარულად არაკეთილსაიმედოდ ლეპტოსპიროზის მიმართ ღორს ცრიან შესაბამისი პოლივალენტური ვაქცინით ერთჯერადად. კერატები და ქუბები უნდა აიცრას ორჯერადად 2-ჯერ წელიწადში.

სისტემატურად უნდა ჩატარდეს დეზინფექცია და დერატიზაცია.

ფერმა, სადორე, ეზო ცხადდება ლეპტოსპიროზზე კეთილსაიმედოდ მას შემდეგ, რაც იქ ჩატარდება ყველა პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები, მაგრამ არა უადრეს 30 დღისა დაავადების უკანასკნელი შემთხვევიდან.

სალმონელოზი

სალმონელოზი უმეტესად მოზარდი პირუტყვის დაავადებაა, რომელსაც დიდი ხვედრითი წილი უკავია ცხოველთა ინფექციურ დაავადებებს შორის. ღორში მას ხშირად მეორე ჭირსაც უწოდებენ. მწვავე მიმდინარეობის დროს სალმონელოზი ხასიათდება: ცხელებით, სეპტიკური და ტოქსიკური მოვლენებით, ნაწლავების დაზიანებით, ფილტვების ანთებით, ზრდასრულ ცხოველებში კი სალმონელოზი იწვევს აბორტებს.



სალმონელოზები უფრო ხშირად გვხვდება ისეთ მეურნეობებში, სადაც დარღვეულია მაკე ცხოველის და ახალშობილის კვებისა და მოვლა-პატრონობის სანიტარულ-ზოოჰიგიენური რეჟიმი. ასეთ მეურნეობაში ავადმყოფობა ფართოდ ვრცელდება და დიდ სიკვდილიანობას იწვევს.

მკვდარი ცხოველის გაკვეთისას ძირითადი ცვლილებები კუჭ-ნაწლავშია. მსხვილ ნაწლავებში ვითარდება სხვადასხვა ზომის, შემოსაზღვრული, ნეკროზული კერები, დაფარული ხაჭოსმაგვარი ნაღებებით.

სალმონელოზზე სტაციონარულად არაკეთილსაიმედო მეურნეობის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზრდასრულ პირუტყვში სალმონელამატარებლობის და იქ არსებული სულადობის ცუდი მოვლა-შენახვის პირობებთან.

ეკონომიკური ზარალი. საკმაოდ დიდია სიკვდილიანობის, დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე მატერიალური დანახარჯებისა და ახალშობილთა გამოზრდის შრომის ორგანიზაციის დაწესებული სისტემის დარღვევის გამო. სალმონელოზმა შეიძლება მოიცვას გოჭების სულადობის 30-50%, სიკვდილიანობა კი 50%-ზე მეტი შეადგინოს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. სალმონელოზების მიმართ ამთვისებულია გოჭი – 20-25 დღიდან 4-5 თვის ასაკამდე, განსაკუთრებით ასხლეტის ასაკში.

სალმონელოზით დაავადებული ცხოველი სწრაფად იკლებს წონაში და ხშირად იღუპება, დაავადება-გადატანილი ცხოველი კი თვეობით რჩება მიკრობმატარებლად. იგი შარდთან, ფეკალთან ერთად გამოყოფს დიდი რაოდენობით მიკრობებს, რითაც აბინძურებს შენობას და მოვლა-შენახვის საგნებს. ასეთი გოჭები ხდებიან დაავადების ძირითადი გამავრცელებლები. დაავადება-გადატანილი გოჭები ცუდად ვითარდებიან, ჩამორჩებიან ზრდაში და მიუხედავად დიდი დანახარჯებისა, წონაში მატებით ვერ ეწევიან თანატოლებს. სალმონელოზის წარმოშობასა და მიმდინარეობის სიმძიმეზე დიდ გავლენას ახდენს არასასურველი გარემო პირობები, რომლებიც აქვეითებენ მოზარდი ცხოველის ორგანიზმის რეზისტენტობას და ცხოველებს განაწყობენ დაავადებისადმი. მათგან აღსანიშნავია შენობის მიკროკლიმატი (სიცივე, გადახურება, ტენიანობა და სხვა) და სანიტარული მდგომარეობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ცხოველთა სიმჭიდროვე და სხვადასხვა ასაკის ღორების ერთ სადგომში მოთავსება. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ცხოველთა კვება. ცილებით, ვიტამინებით და მიკრო და მაკრო ელემენტებით დაუბალანსებელი სა-კვები ხელს უშლის ცხოველთა ზრდა-განვითარებას და აქვეითებს მათ გამძლეობას დაავადების მიმართ.

სალმონელოზის აღმძვრელის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ან დაავადება-გადატანილი სალმონელამატარებელი ცხოველი, რომელიც აღმძვრელს გარემოში გამოყოფს რძესთან და ფეკალთან ერთად.

სალმონელოზის საწინააღმდეგო ღონისძიებებში წამყვანი ადგილი უკავია პროფილაქტიკას. მიუხედავად ამისა, დაავადების გაჩენის შემთხვევაში, სწრაფად და ეფექტურად უნდა ჩატარდეს ცხოველთა მკურნალობა, რომელიც ამ შემთხვევაში მეტად ძვირია. სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან ერთად ცხოველებს უნდა მიეცეთ ორგანიზმის რეზისტენტობის ამწევი საშუალებები და გაუმჯობესდეს მათი მოვლა-შენახვის პირობები.

მიმდინარეობა და სიმპტომები. გოჭები სალმონელოზით ავადდებიან ალიმენტური გზით, იშვიათად სასუნთქი სისტემიდან.

გოჭებში სალმონელოზი მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად. მწვავე მიმდინარეობისას დაავადების ხანგრძლივობა 3-7 დღეა. დაავადებული გოჭები საკვებს არ ღებულობენ, უპირატესად წვანან, ქვეშაფენში ძვრებიან, სხეულის ტემპერატურა აწეულია 42°C-მდე, ვითარდება კონიუნქტივიტი, მალევე, აღინიშნება კერობრივი სილურჯეები განსაკუთრებით მუცლისა და ყურის ნიჟარებზე. დაავადებულებში შეიმჩნევა ხველა, სუნთქვის გახშირება და ბრონქოპნევმონიის ჩამოყალიბება. დაავადებული გოჭებიდან იხოცება 80%.

სალმონელოზის ქვემწვავე მიმდინარეობა აღინიშნება ახლად ასხლეტილ გოჭებსა და ბურვაკებში. ქვემწვავე მიმდინარეობისას აღინიშნება თითქმის იგივე კლინიკური ნიშნები, რაც მწვავე მიმდინარე-

ობის დროს. ავადმყოფობა გრძელდება 2-3 კვირა. ქრონიკული მიმდინარეობის დროს გოჭები და ბურვაკები ჩამორჩებიან ზრდაში. ხშირად იცვლება მათში ფაღარათი ყაბზობით.

მკურნალობა. მკურნალობის დაწყების წინ, ავადმყოფი ცხოველები გადაჰყავთ ცალკე სადგომში და აუმჯობესებენ მათი მოვლა-შენახვის პირობებს. გოჭების სალმონელოზის სამკურნალოდ გამოიყენება ჰიპერიმუნური შრატი, ანტიბაქტერიულ პრეპარატებთან ერთად.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები: დაავადების პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება სალმონელოზის საწინააღმდეგო, მონო და პოლივალენტური ვაქცინები. ამავე მიზნით რეკომენდებულია აგრეთვე ასოცირებული ვაქცინები, რომლებიც სალმონელოზის გარდა სხვა დაავადებების მიმართაც ქმნიან იმუნიტეტს. სალმონელოზის საწინააღმდეგოდ გოჭები იცრებიან 20-30 დღის ასაკში. ახალშობილების სალმონელოზისგან დასაცავად კი მკაცრ ნეზვები იცრება მკაცობის ბოლო პერიოდში. ვაქცინების გამოყენებასთან ერთად, სალმონელოზის ასაცილებლად შესრულებული უნდა იქნეს ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური მოთხოვნები, გაუმჯობესდეს ცხოველთა მოვლა-შენახვისა და კვების პირობები.

სალმონელოზთან ბრძოლის საქმეში წარმატების მისაღწევად ყველა ღონისძიება კომპლექსურად და სისტემატურად უნდა ჩატარდეს.

კოლიბაქტერიოზი (ეშერიხიოზი)

კოლიბაქტერიოზი (ეშერიხიოზი) ახალშობილთა და მოზარდთა ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე აშლილობით, ორგანიზმის ინტოქსიკაციით, დეჰიდრატაციით (გაუწყლოებით) და სწრაფი დაუძლურებით.

ეკონომიკური ზარალი კოლიბაქტერიოზის დროს ლეტალობა შეიძლება იყოს ძალიან დიდი, 100%-მდეც კი, თუ გამოყენებული არ იქნა ეფექტური სამკურნალო საშუალებები.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ნაწლავის ჩხირის ენტეროპათოგენური შტამების (სეროტიპების) მიმართ ამთვისებულია ყველა სახის ცხოველის ახალშობილი და მოზარდი, მაგრამ განსაკუთრებით ხბო და გოჭი 7-15 დღის (ზოგჯერ დაბადების პირველი საათებიდან) ასაკში. ინფექციის წყარო არის დაავადებული ცხოველი (გოჭი). დაავადებული გოჭის ყველა გამონაყოფი შეიცავს დაავადების აღმძვრელ მიკროორგანიზმებს (ეშერიხიას). ინფექციის აღმძვრელის გადაცემის ფაქტორებია ეშერიხიებით დაბინძურებული ქვეშაფენი, საკვები, წყალი, საკვებურები და სარწყურლებლები, მოვლის საგნები, მომსახურე პერსონალის ხელები, დასვრილი დვრილები და ცური, ასევე კონტამინირებული ხსენი და რძე.

დაავადების აღმძვრელი, ნაწლავის ჩხირის მიკრობი E.coli ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მიკროორგანიზმია, იგი ზრდასრულ ცხოველთა და ადამიანთა კუჭ-ნაწლავის ნორმალური ბინადარია, მაგრამ მისი მოხვედრა ავადმყოფი ან დაავადებაგადატანილი ცხოველიდან ახალშობილი გოჭის ორგანიზმში, იწვევს ახალშობილის ძლიერ დაავადებას და ხშირ შემთხვევაში სიკვდილს.

ეშერიხიოზის საწინააღმდეგოდ, რომელიც ჩნდება ცხოველის სიცოცხლის პირველ დღეებში, საჭიროა იმუნიზირებულ იქნას მკაცრ ცხოველები, რა დროსაც ხსენში უზრუნველყოფილი იქნება იმუნური ანტისხეულების მაღალი კონცენტრაცია.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი 24-72 საათს გრძელდება. მიმდინარეობს ზემ-წვავედ. 18-24 საათის შემდეგ ცხოველი კვდება.

მკურნალობა: კოლიბაქტერიოზით ავადმყოფ ცხოველს საჭიროა მკურნალობა დაეწიოს პირველი ნიშნების გამომჟღავნებისთანავე. ავადმყოფ ცხოველს გამოყოფენ ცალკე და გადაჰყავთ დიეტურ მკურნალობაზე.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. საჭიროა გატარდეს ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებები, რომელიც მიმართულია დედის ორგანიზმის და მისი შთამომავლობის რეზისტენტობის ამაღლებისაკენ, მოგების ჰიგიენის უზრუნველყოფისაკენ.

მელორეობის მეურნეობაში რეპროდუქციულ შენობას უნდა ჰქონდეს 30-60 დედა ღორზე იზოლირებული სექციები, რომლებიც დაკომპლექტდებიან ერთნაირი ასაკის მაკე დედებით.

ყურადღება მიექცეს იმას, რომ ყველა ახალდაბადებული გოჭი ძუძუს წოვისას უზრუნველყოფილი იყოს სარძევე ჯირკვლის ფუნქციური წილით.

ასხლეტის შემდეგ გოჭები გადაჰყავთ დუზინფიცირებულ შენობაში, ხოლო რეპროდუქციული შენობის სექცია სუფთავდება, ირეცხება, უტარდება დუზინფექცია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ის გამოყენებული იქნეს დედა ღორების ახალი პარტიისათვის.

არაკეთილსაიმედო მელორეობის მეურნეობაში მაკე ღორებს უცრიან 2-ჯერ, 7-10 დღის შუალედით, 1,5-2 თვით ადრე მოგებამდე. აუცილებლობის შემთხვევაში უცრიან 10 დღეზე უხნეს ასაკის გოჭს კოლიბაქტერიოზის საწინააღმდეგო ვაქცინით.

აუესკის ავადმყოფობა (ცრუ ცოფი)

აუესკის ავადმყოფობა (ცრუ ცოფი) ინფექციური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ფილტვების ანთების და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების სიმპტომებით, ცხელებით, ასევე ძლიერი ქავილის შეგრძნებით და ფხანით ყველა სახის ცხოველში, გარდა ღორის, წავისა და სიასამურისა.

ეკონომიკური ზარალი. აუესკის ავადმყოფობა საგრძნობ ზარალს აყენებს მეცხოველეობას, დიდი სიკვდილიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრი შემცირების გამო. მელორეობის მეურნეობაში აუესკის ავადმყოფობის გაჩენისას მოზარდის დანაკარგი 80-90%-ს აღწევს. ყველა სახის და ასაკის ცხოველი, მოზრდილი ღორის გამოკლებით, კვდება. დაავადება გადატანილი ღორი შესამჩნევად იკლებს წონაში, სანაშენო ცხოველი უფასურდება. გარდა ამისა, მეურნეობაში დიდი თანხა იხარჯება საკარანტინო და გამაჯანსაღებელ ღონისძიებების გატარებაზე.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. აუესკის ავადმყოფობის მიმართ ამთვისებულია მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი. ყველაზე ხშირად ავადდება ღორი, ძაღლი, კატა და ბეწვიანი ნადირი.

დაავადების აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი ცხოველი, რომელიც გარემოში ვირუსს გამოყოფს ცხვირიდან გამონადენთან, ცრემლთან, შარდთან, რძესთან და საშოს გამონადენებთან ერთად. ნერწყვისა და ფეკალში აღმძვრელი არ არის, ცხვირიდან გამონაყოფი ღორწო ყველაზე უფრო პათოგენურია. მასში ვირუსს ნახულობენ ჯერ კიდევ დაავადების ინკუბაციურ პერიოდში. ინფექციის აღმძვრელის გამოყოფის თვალსაზრისით საშიშია არა მარტო ავადმყოფი ცხოველები, არამედ დაავადებამონდილი ღორებიც. ისინი დიდი ხნის (187 დღე) განმავლობაში რჩებიან ვირუსმტარებლებად.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-8 დღე, იშვიათად 21 დღე. დაავადება ყოველთვის მწვავედ მიმდინარეობს.

მოზრდილ ღორში დაავადება მიმდინარეობს კეთილთვისებიანად. მას აღენიშნება 1-3 დღის განმავლობაში უმნიშვნელო ციებ-ცხელება, მოდუნება, მადის დაქვეითება, ზოგჯერ პირღებინება. ცხოველთა უმეტესობამ შეიძლება დაავადება მოიხადოს ფარულ ფორმაში. ზოგჯერ მოზრდილი ღორი მძიმედ ავადდება. შეიმჩნევა რინიტის, კონიუნქტივიტის ნიშნები, ხველება, ბარბაციტ სიარული, წრიული გადაადგილება, ნერწყვის გამოყოფა, კიდურების, ხახის და ხორხის დამბლა. ცხოველი კომატოზურ მდგომარეობაში ვარდება და კვდება. დედა ღორში ირღვევა ლაქტაცია, რომელიც შეიძლება არ აღდგეს გამოჯანმრთელების შემდეგაც. შეიმჩნევა ნაყოფის მოგდება, მკვდარი, მუმიფიცირებული ნაყოფის დაბადება.

გასასუქებელ ბურვაკში არაიშვიათად ადგილი აქვს კატარულ და კრუპოზულ პნევმონიას, თუ მას თან დაერთვის გრიპის ვირუსის, სალმონელების, პასტერელას და სხვა მიკრობების სეკუნდარული ინფექცია.

10 დღემდე ასაკის ძუძუმწოვარა გოჭში დაავადება ხშირად ვლინდება მენინგოენცეფალიტის ნიშნებით. ავადმყოფი გოჭი ძალიან დასუსტებულია, უჭირს გადაადგილება, ძუძუს წოვა, ჩნდება კრუნჩხვა, ნერწყვდენა და ხახის სპაზმი. ცხოველი კვდება 4-12 სთ-ის ან ზოგჯერ ერთი დღე-ღამის შემდეგ.

10 დღიდან 4 თვემდე ასაკის გოჭში ხშირად გვხვდება დაავადების შერეული ფორმა სეპტიცემიის და მენინგოენცეფალიტის ნიშნებით.

მკურნალობა. სპეციფიკურ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს აუესკის ავადმყოფობის საწინააღმდეგო გამაგლობულინი, რომელსაც ავადმყოფ გოჭებს უკეთებენ კანქვეშ ამ პრეპარატის 10%-იან ხსნარს 8-12 მლ ოდენობით. სამკურნალო ეფექტის მიუღებლობის შემთხვევაში ინექციას იმეორებენ 24-48 სთ-ის შემდეგ.

პროფილაქტიკა და ბრძოლის დონისძიებები: აუესკის ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ჯგუფის დასაკომპლექტებლად ცხოველების და საკვების შეძენა მხოლოდ კეთილსაიმედო მკურნეობიდან.

სასაკლაოს ანარჩენები, იძულებით დაკლული ცხოველის ხორცი და სუბპროდუქტები გამოიყენება ღორისა და ნადირის საკვებად მხოლოდ მოხარშვის შემდეგ. ცხოველის სადგომში და ფერმის ტერიტორიაზე, მარცვლულის საწყობში და სხვა, სისტემატურად სპობენ მავნე მღრღნელებს (თაგვი, ვირთხა), როგორც აუესკის ავადმყოფობის აღმძვრელის ძირითად რეზერვუარს. დერატიზაცია ტარდება ქლორის, კრისიდის და სხვა ქიმიური სადერატიზაციო საშუალებების გამოყენებით.

ავადმყოფობის გაჩენის საშიშროების დროს ატარებენ ამთვისებელ ცხოველების პროფილაქტიკურ ვაქცინაციას.

ღორის კლასიკური ჭირი

ღორის კლასიკური ჭირი ინფექციური მალაკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება მწვავე მიმდინარეობით, სეპტიცემიით და ჰემორაგიული დიათეზით. ქვემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობისას დამახასიათებელია კრუპოზული პნევმონია და კრუპოზული დიფტერიული კოლიტი. ბუნებრივ პირობებში, ღორის ჭირით ავადდებიან ყველა ასაკის შინაური და გარეული ღორები. დაავადების მიმართ განსაკუთრებულ მგრძობელობას



იჩენენ ჯიშიანი, მალაღპროდუქტიული ღორები. გარეულ ღორებს გააჩნიათ გარკვეული ბუნებრივი რეზისტენტობა.

ეკონომიკური ზარალი. ჭირი მეღორეობის მკურნეობას დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს. ლეტალობა მერყეობს 60-100%-ის ფარგლებში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ბუნებრივ პირობებში ჭირით ავადდება ყველა ჯიშის და ასაკის შინაური და გარეული ღორი. უფრო მეტად ამთვისებელია ჯიშიანი ღორი.

ინფექციის აღმძვრელის წყაროს წარმოადგენენ დაავადებული და დაავადებაგადატანილი, ვირუსმატარებელი შინაური და გარეული ღორები. ვირუსმატარებლობა გრძელდება 3-10 თვის განმავლობაში. ვირუსის გამოყოფა ხდება შარდით, ფეკალით, ცხვირიდან და თვალიდან გამონადენით.

მკურნეობის შიგნით დაავადების გავრცელება ხდება საკვებით, წყლით და აეროგენურად. ატიპური ფორმის დროს დაავადება შეიძლება გავრცელდეს ნაყოფზე (პლაცენტის მეშვეობით).

მზამკვლევი ღორის მოშენებაში

ღორის ჭირი ძირითადად ვლინდება იმ მეურნეობებში, სადაც დაბალია ვეტერინარულ-სანიტარული კულტურა. დაავადების აღმძვრელის გავრცელებას ხელს უწყობს დაავადებული ღორების დაკვლა და ხორცის პროდუქტების გადამუშავება ვეტერინარულ-სანიტარული პირობების დარღვევით. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ღორის ხორცი და მისი პროდუქტებით უკონტროლო ვაჭრობა.

ღორის ჭირის გამოვლინება ხდება წლის ნებისმიერ დროს. დაავადება განსაკუთრებით ხასიათს დებულობის გვიან შემოდგომით, როდესაც ინტენსიურია ღორის სულადობის გადაადგილება და მათი დიდი რაოდენობით დაკვლა, ხოლო მისი ხორცის რეალიზაცია ხდება ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.




ვირუსმატარებელი ღორის მეურნეობაში შეყვანით ჯერ ავადდება რამდენიმე ცხოველი, რომელიც კონტაქტში იყო ახალმოყვანილთან, შემდგომ კი დაავადება სწრაფად ვრცელდება. თუ ვირუსი შეტანილი იქნა საკვებთან ერთად, 2-3 დღეში დაავადება მასობრივ ხასიათს მიიღებს.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 5-8 დღე, შეიძლება უფრო ხანმოკლე იყოს (3 დღე) და ხანგრძლივი (2-3 კვირა). დაავადება ჩვეულებრივად მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ და ქრონიკულად, შედარებით იშვიათად – ელვისებურად.

ღორის ჭირის მწვავე და ქვემწვავე ფორმისთვის დამახასიათებელია ცხელება, მძიმე დეპრესია, კონიუნქტივიტი, რინიტი, შეკრულობა და ფაღარათი, კოორდინაციის დარღვევა, წერტილოვანი სისხლჩაქცევები: კანზე, მუცელზე, კისერზე, ბარძაყის შიდა მხარეს, სილურჯე, ფილტვების ანთების და კოლიტის ნიშნები. მწვავე ფორმისას ცხოველი 2-10 დღეში კვდება, ქვემწვავე ფორმის დროს კი 10-12 დღეში.

ღორის კლასიკური ჭირის დროს ყურადღება ექცევა მაღალ ტემპერატურას, სისხლჩაქცევებს ლორწოვან გარსებზე, წითელ ლაქებს კანზე, რომელიც ხელის დაჭერით არ უფერულდება.



ღორის ჭირისთვის დამახასიათებელია აბორტი, მკვდარი გოჭების დაყრა, დაბალი სიცოცხლის უნარის მქონე გოჭების დაბადება, მასობრივი დიარეით და სიკვდილიანობით.

ღორის ჭირით მკვდარი ცხოველის შინაგან ორგანოებზე, სეროზულ და ლორწოვან გარსებზე აღინიშნება მრავლობითი წერტილოვანი სისხლჩაქცევები. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხორხის ლორწოვან გარსზე. საჭმლის მომწელებელი სისტემიდან: კუჭზე და მსხვილ ნაწლავებზე, შარდის ბუშტზე, პლევრაზე და თირკმლებზე.

ღორის კლასიკური ჭირი ხშირად რთულდება სალმონელოზით, პასტერელოზით, წითელი ქარით და სხვა ბაქტერიული დაავადებებით.

მკურნალობა. ღორის ჭირის მკურნალობა შემუშავებული არ არის, დაავადებული ცხოველი სწრაფად უნდა დაიკლას.

ღორის კლასიკური ჭირით დაავადებაზე საეჭვო ცხოველების ტან-ხორცისა და დაკვლის პროდუქტების გამოყენება უში სახით დაუშვებელია.

ღორის ჭირის საწინააღმდეგოდ ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებების ჩატარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფილაქტიკურ აცრებს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად ფერმაში არ უნდა დარჩეს ღორის ჭირზე აუცრელი არცერთი ცხოველი.

დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები უფექტურია, თუ იგი არ შემოიფარგლება მარტო ერთი მეურნეობით და ჩატარდება სოფლის, რაიონის და რეგიონის მასშტაბით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. დაავადების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ჯგუფის დასაკომპლექტებლად ცხოველების და საკვების შექმნა მხოლოდ კეთილსაიმედო მეურნეობიდან. ყველა ახლად შეძენილი ცხოველის ძირითად კოლტში დაშვება მხოლოდ 30 დღიანი კარანტინის შემდეგ უნდა მოხდეს.

ზოგადი პროფილაქტიკური ღონისძიებების გარდა საჭიროა ჩატარდეს დამცველობითი აცრა ჭირის საწინააღმდეგოდ.

ღორის ჭირზე დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ ფერმაში წესდება კარანტინი, რომელიც იხსნება დაავადების უკანასკნელი შემთხვევიდან ან ცხოველის სიკვდილიდან და დასკვნითი ლეზინფექციის ჩატარებიდან 40 დღის შემდეგ.

ღორის აფრიკული ჭირი

ღორის აფრიკული ჭირი მეტად კონტაგიოზური მწვავედ მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ციებ-ცხელებით, შინაგან ორგანოებში ფართო ჰემორაგიით, კანის ციანოზით და მაღალი ლეტალობით.



ეკონომიკური ზარალი. ღორის აფრიკული ჭირი მეღორეობის მეურნეობას დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს. ავადობა და ლეტალობა ძალიან მაღალია (98-100%).

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. აღმძვრელის მიმართ ამთვისებელია ყველა ასაკის შინაური და გარეული ღორი.

ინფექციის აღმძვრელის წყაროა ავადმყოფი და დაავადებაგადატანილი ღორი, ვირუსმტარებლობა გრძელდება 2 წლამდე და მეტხანს. დასნებოვნებული ცხოველის ორგანიზმიდან ვირუსი გამოიყოფა ყველა სეკრეტით, ექსკრეტით და ასევე ამოსუნთქული ჰაერით.

ბუნებრივ პირობებში დასნებოვნება ხდება ავადმყოფი ცხოველის ჯანმრთელთან ერთად შენახვის პირობებში. უმთავრესად ცხოველი სნებოვნდება ალიმენტური გზით, დაინფიცირებული საკვების ანარჩენების და სხვა საკვების მიცემის დროს, ასევე აეროგენური გზით დაზიანებული კანით და დასნებო-ვნებული ტკიპის კბენით.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან 22 დღემდე. არჩევნ დაავადების ზემწვავე, მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკულ მიმდინარეობას და ლატენტურ ფორმას.

ზემწვავე მიმდინარეობა იშვიათად გვხვდება. ცხოველში აღინიშნება სხეულის ტემპერატურის აწევა 40,5-42,2^o C-მდე, პულსისა და სუნთქვის აჩქარება. 1-2 დღის შემდეგ ტემპერატურა ქვეითდება, პულსი სუსტი ხდება, სუნთქვა კი – ზედაპირული. შეიმჩნევა მძინარობა, მოძრაობის დარღვევა. ცხოველი კვდება 2-3 დღე-ღამის შემდეგ ტემპერატურის აწევის მომენტიდან. ზოგჯერ ცხოველი მოულოდნელად კვდება, დაავადების რაიმე კლინიკური ნიშნების გამოვლინების გარეშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ციებ-ცხელებას.

მწვავე მიმდინარეობის დროს ადგილი აქვს სხეულის ტემპერატურის 40,5-42,2^o C-მდე, მომატებას, რომელიც შენარჩუნდება უმნიშვნელო მერყეობით ამ დონეზე დაავადებული ცხოველის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე სხეულის ტემპერატურა 37-35^o C-მდე

ქვეითდება. დაავადების პირველი 2-3 დღის განმავლობაში, მიუხედავად მაღალი ტემპერატურისა, კლინიკური ნიშნები სუსტად ვლინდება. ამ დროს დაავადებულ ღორს აღენიშნება მოუსვენრობა, ამალღებულობა ადგინებადობა, ქუთუთოების შეშუპება, სეროზული კონიუნქტივიტი, კანის ჰიპერემია, განსაკუთრებით თვალის ირგვლივ. მაღა შენარჩუნებულია. მე-3-4 დღეზე ტემპერატურის ამალღების შემდეგ დაავადების ნიშნები კარგად შესამჩნევი ხდება. ჩნდება ფილტვის ანთების ნიშნები. მაკე ღორ-ში ხშირია ნაყოფის მოგდება. შემდეგ შეიმჩნევა ძლიერი ფალარათი, ფეკალი თხევადია, შეიცავს სისხლს და ლორწოს.

ქვემწვავე მიმდინარეობა თითქმის იგივე სიმპტომებით ხასიათდება, როგორც მწვავე, მაგრამ უფრო სუსტად არის გამოხატული და ნელა ვითარდება. აფრიკული ჭირისათვის დამახასიათებელი ნიშნების გარდა, ჩნდება მეორადი ინფექციით (პასტერელოზი, სალმონელოზი) განპირობებული სიმპტომები. ავადმყოფობა 15-25 დღე გრძელდება და უმეტესად სიკვდილით მთავრდება.

ქრონიკული მიმდინარეობის დროს ადგენენ ღორის თანდათანობით გამოფიტვას, ზრდაში ჩამორჩენას, მაღის შენარჩუნებას. გარდა ამისა ადგილი აქვს ბრონქოპნევმონიის ნიშნებს, ართრიტს, კერატიტს, ყურების, თავის, ზურგის, კიდურების ქვედა ნაწილების კანის ნეკროზს. ცალკეულ ცხოველებში კი დინგის და ქვედა ყბის კანქვეშა ქსოვილში რბილი, უმტკივნეულო შესივების გაჩენას. დაავადება შეიძლება გაგრძელდეს 2-დან 10 თვემდე და უფრო დიდხანს. ცხოველთა უმეტესობა კვდება, ხოლო გადარჩენილი ვირუსმატარებელი ხდება და მასში დაავადება ლატენტურად მიმდინარეობს.

მკურნალობა. მკურნალობა არ ტარდება.

პროფილაქტიკა და ბრძოლის დონისძიებები. კაცრი მეთვალყურეობა წესდება ცხოველის შემოყვანაზე, ცხოველური წარმომობის პროდუქტების და ნედლეულის შემოტანაზე.

ყველა მეღორეობის ფერმაში უნდა იცავდნენ ვეტერინარულ-სანიტარულ წესებს დაავადების შეტანის თავიდან ასაცილებლად. კატეგორიულად იკრძალება ცხოველის კვება მოუხარშავი საკვებით და სასაკლავოს ანარჩენებით.

ეპიზოოტიურ კერაში მყოფი ყველა ღორი ისპობა უსისხლო მეთოდით. დაკლული და მკვდარი ღორის ლეში, ნაკელი, საკვების ანარჩენი, ტარა, ნაკლებდირებული ინვენტარი, ხის იატაკი, საკვებური, მოაჯირი იწვება ადგილზე. უწვი ნარჩენი ჩაიფლობა ორმოში არა უმეტეს 2 მეტრ სიღრმეზე.

დამარხვამდე უშუალოდ ტრანშეაში იხსნება ცხოველის ლეშის მუცლის ღრუ, ხოლო შემდეგ კი მას ეყრება ქლორიანი კირი. ერთი წლის განმავლობაში ლეშის დამარხვის ადგილზე იკრძალება მიწის სამუშაოს ჩატარება.

ტარდება ბინის, ბაკის და სხვა ადგილების (სადაც იმყოფებოდნენ ავადმყოფი ცხოველები) 3-ჯერადი დეზინფექცია.

არაკეთილსაიმედო პუნქტიდან კარანტინს ხსნიან ჭირის კერაში განადგურების და საშიშროების ქვეშ მყოფ პუნქტებში მთელი სულადობის დაკვლიდან 30 დღეში. ღორის შეყვანა სადგომში, სადაც იმყოფებოდა აფრიკული ჭირით დაავადებული ღორი, სულადობის შეყვანა ნებადართულია კარანტინის მოხსნიდან და ბიოლოგიური კონტროლის ჩატარებიდან 6 თვის შემდეგ.

ღორის გრიპი (ინფლუენცა)

ღორის გრიპი (ინფლუენცა) მწვავედ მიმდინარე მეტად კონტაგიოზური ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ციებ-ცხელებით, სასუნთქი გზების, თვალის ლორწოვანი გარსის კატარული ანთებით და ფილტვების დაზიანებით.

ეკონომიკური ზარალი. საკმაოდ დიდია. დაავადების მოხდის პერიოდში ადგილი აქვს ცხოველის წონაში დაკლებას. სიკვდილიანობა შეიძლება იყოს 60%-მდე ან მეტი. საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ცხოველის მკურნალობაზე, სადგომში დეზინფექციის ჩატარებაზე და სხვ.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. გრიპით ავადდება ყველა ასაკის და ჯიშის ღორი, მაგრამ უფრო ამთვისებულია 2-8 კვირის ასაკის გოჭი.

ინფექციის აღმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებაგადატანილი ღორები, რომლებიც აღმძვრელს გამოყოფენ გარემოში ცხვირიდან გამონადენით, ასევე შესაძლოა ფეკალით და შარდით. აღმძვრელი ავადმყოფი ღორიდან ჯანმრთელს გადაეცემა ჰაერით. ამიტომ დასნებოვნების ძირითადი გზა არის აეროგენული.

გრიპი ხშირად აღინიშნება წლის ცივ დროს. უმეტესად ვლინდება ენზოოტიურად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში, იმ მეურნეობაში, სადაც მისი გავრცელებისათვის ბევრი ხელშემწყობი ფაქტორი არსებობს (სინესტე, შეჯგუფული შენახვა, ცუდი არასრულყოფილი კვება) დაავადება მიმდინარეობს ეპიზოოტიის სახით. ავადობა მაღალია, ზოგჯერ იგი 100%-მდეა.

მიმდინარეობა და სიმპტომები. ინკუბაციური პერიოდის გრძელდება 1-2 დღე, იშვიათად 7 დღე. გრიპი მიმდინარეობს მწვაწედ, ქვემწვავედ და ატიპიურად.

გრიპის ტიპური გამოვლინებებისას აღინიშნება სხეულის ტემპერატურის მომატება 41-42 °C-მდე, უმაღლობა. ცხოველს თავი ქვეშაფენში აქვს ჩაფლული, უჭირს მოძრაობა, თვალის ლორწოვანი გარსი შესივებული და შეშუპებულია. თვალის კუთხიდან გამოეყოფა სეროზულ-კატარული ექსუდატი. გოჭს უჭირს სუნთქვა, ის ახველებს, აცემინებს, ცხვირის ღრუდან გამოდის კატარული ექსუდატი, დინგზე, ცხვირის ღრუს ირგვლივ ვითარდება გამშრალი გამონადენისაგან ქერქები. გოჭი დინგით ეხახუნება საკვებურს, კედელს, თავს აქნევს. ზოგჯერ ცალკეულ ცხოველში აღინიშნება ცხვირიდან სისხლდენა. გოჭი გაძნელებული სუნთქვის გამო ხშირად მჯდომარე ძაღლის პოზას იღებს. გულის მოქმედების დარღვევის შედეგად ლურჯდება ყურები, კუდი და ჩლიქები. შესაძლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება და ეგზემური გამონაყარის გაჩენა. გოჭში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფალარათს, ზოგჯერ ყაბზობას. გრიპი მიმდინარეობს მწვავე კატარული ან კატარულ-ჩირქოვანი პნევმონიის სახით. ავადმყოფობა ხშირად ცხოველის სიკვდილით მთავრდება.

ქვემწვავე მიმდინარეობის დროს ავადმყოფობა გრძელდება რამდენიმე კვირა. ასეთ შემთხვევაში ყველა ასაკობრივ ჯგუფის ცხოველში გამოხატულია ბრონქოპნევმონიის, არაიშვიათად პლევრიტის ნიშნები. აღინიშნება ეგზემა, ღერმატიტი, რომელთაც თან სდევს ქავილი, გაღიზიანება. გოჭი ცუდად ვითარდება, ხდება სალმონელოზის, პასტერელოზის მიმართ არაკეთილსაიმედო. მეურნეობაში გრიპის ქვემწვავე მიმდინარეობა მეორადი ინფექციის შედეგად ხშირად გოჭების სიკვდილით მთავრდება.

მკურნალობა. გრიპის გაჩენისას ავადმყოფ ცხოველს იზოლირებენ ჯანმრთელებისაგან და მკურნალობენ, მეორადი ინფექციების ჩახშობის მიზნით. სამკურნალოდ იყენებენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს და სულფანილამიდებს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. მეტად მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა – ღორის შენახვა ზაფხულობით ბანაკში, ხოლო ზამთარში კი კარგი ვენტილაციის მქონე, მშრალ საღორეში.

აუცილებელია ახლად მიღებული ცხოველის პროფილაქტიკურ კარანტინში ჩაყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველის ტრანსპორტირებას. დაუშვებელია ღორის გადაყვანა ნესტიან, ცივ ამინდში.

სადგომს, სადაც იმყოფებოდა დაავადებული ცხოველი, ყოველდღე უტარებენ დეზინფექციას.

ვაქცინაციის სქემა

ვაქცინა ბიოლოგიური პრეპარატია, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური იმუნიტეტის ჩამოყალიბებას კონკრეტული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგოდ. როგორც წესი, ვაქცინა შეიცავს აგენტს, რომელიც დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმს წააგავს და ხშირად, დამზადებულია მიკრობის მისი ტოქსინების ან მისი ზედაპირის რომელიმე ცილის ინაქტივირებული ან დასუსტებული ფორმებისგან. აგენტი ორგანიზმის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს, რათა ეს აგენტი საფრთხედ აღიქვას, გაანადგუროს და შემდეგში, ამოიციოს და გაანადგუროს ამ აგენტთან დაკავშირებული ნებისმიერი მიკროორგანიზმი.

ვაქცინის ორგანიზმში შეყვანას ვაქცინაცია ეწოდება. ვაქცინაცია ინფექციურ დაავადებათა პრევენციის ყველაზე ეფექტიანი მეთოდია. ვაქცინაციის შედეგად მიღებულ იმუნიტეტს შეუძლია აღმოფხვრას რიგი ინფექციური ღორის დაავადებები.

ვაქცინაცია ჯანმრთელობის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეფექტური ვაქცინაციის პროტოკოლი შეიძლება შემუშავდეს ფერმის მართვის მიდგომების შესაფერისად. ერთი უნივერსალური ვაქცინაციის პროგრამა არ არსებობს მელორეობაში, რადგან სწორი ვაქცინაციის პროგრამის შედგენა დამოკიდებულია ქვეყნის მასშტაბით და ფერმის ეპიზოოტიურ სიტუაციაზე.

გოჭების დროული ვაქცინაცია უზრუნველყოფს მათ დაცვას ვირუსული, ბაქტერიული და ზოგიერთი პარაზიტული დაავადებისგან.

თითოეული ფერმისთვის მიზანშეწონილია შემუშავდეს ვაქცინაციის საკუთარი გრაფიკი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ღორის მოშენების ტიპი, ფერმაში სულადობის რაოდენობა, მათი ასაკი და ეპიზოოტიური რისკები.

გოჭების ვაქცინაცია (1-30 დღე)

(საორიენტაციო ვარიანტი)

- 2 – დღე რკინის შემცველი პრეპარატი
- 5 – დღე კასტრაცია
- 7-21 დღე გამეორება რკინის შემცველი პრეპარატი
- 16 – დღე – აუესკი
- 21-25 დღე – ცირკოვირუსული ინფექცია

სასუქი მოზარდის ვაქცინაცია (30-120 დღე)

(საორიენტაციო ვარიანტი)

- 40 – დღე დეჰელმინთიზაცია
- 45 – დღე კლასიკური ჭირი
- 60 – დღე წითელი ქარი
- 70 – დღე პასტრელოზი
- 80 – დღე წითელი ქარი
- 90 – დღე კლასიკური ჭირი

ნეზვის ვაქცინაცია

(საორიენტაციო ვარიანტი)

- დეჰელმინთიზაცი – 2 – ჯერ წელიწადში
- კლასიკური ჭირი – 2 – ჯერ წელიწადში
- ლეპტოსპიროზი – 2 – ჯერ წელიწადში
- წითელი ქირა – 2 – ჯერ წელიწადში
- პასტერელოზი – 2 – ჯერ წელიწადში
- პარვოვირუსული ინფექციები – 2 – ჯერ წელიწადში

მელორეობაში გამოსაყენებელი პრეპარატები

გოჭის გამოზრდისთვის აუცილებელია ვეტერინარული პრეპარატების გეგმიური სქემის მიხედვით გამოყენება, რომელიც შედგენილია ვეტერინარის მიერ. აღნიშნულ საშუალებებს წარმოადგენს: ვიტამინები, ანტიბიოტიკები, კოქციდიოსტატიკები, ორგანული მჟავები, იმუნოსტიმულატორები ვაქცინები და სხვა. მათი გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ჩანაწერების წარმოება და ღორის ხორცში და დაყოვნების/ლოდინის პერიოდის მკაცრი დაცვა. აღნიშნული საშუალებების მიწოდება ხდება დალევინების ან საკვებში შერევის გზით.

ანტიბიოტიკები

ანტიბიოტიკების გამოყენება ხდება უშუალოდ ვეტერინარის დანიშნულებით და მისი ზედამხედველობის ქვეშ, რადგან მათი სწორად შერჩევა და დანიშნა მოითხოვს დიდ ცოდნას და ლაბორატორიულ კვლევას. ანტიბიოტიკების ხშირი და გადაჭარბებული დოზით გამოყენება იწვევს რიგ უარყოფით ეფექტებს, და მდგრადი ბაქტერიული შტამების ჩამოყალიბებას. ღორის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული საშუალებები, კერძოდ: ფტორქინოლონების, სულფანილამიდების, დოქსაციკლინის, ამოქსაცილინის, მაკროლიდების და სხვა ჯგუფის პრეპარატები.

ორგანული მჟავები

ორგანული მჟავები არეგულირებს კუჭ-ნაწლავის pH-ს და ახასიათებთ ბაქტერიოციდული ეფექტი საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გრამუარყოფითი და გრამდადებითი პათოგენების მიმართ. პროტეოლიზური ფერმენტები არღვევენ უჯრედის მემბრანას და გავლენას ახდენენ დნმ-ს დუბლირების მექანიზმზე. გოჭის გამოზრდის პერიოდში გამოიყენება: ჭიანჭველა მჟავა, ძმარმჟავა, პროპიონის მჟავა, ლიმონმჟავა და სხვა. მათ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული ანტიბაქტერიული ეფექტი. ორგანულ მჟავებს არ გააჩნიათ ხორცში დაყოვნების/მოცდის პერიოდი.

იმუნოსტიმულატორები

ამ ჯგუფის პრეპარატების გამოყენება რეკომენდებულია ორგანიზმის იმუნიტეტის, რეზისტენტულობის ასამაღლებლად, სხვადასხვა ეტიოლოგიის კუჭ-ნაწლავის და სასუნთქი სისტემების დაავადებების საწინააღმდეგოდ. ბაქტერიული წარმოშობის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. მათი გამოიყენება აუცილებელია კომპლექსური თერაპიისას, იმ დაავადებების დროს, რომლებსაც თან სდევს იმუნოდეფიციტის განვითარება. ინიშნება არასპეციფიკური საშუალების თან

სდევს იმუნოდეფიციტის განვითარება. ინიშნება არასპეციფიკური საშუალების სახით ბაქტერი-ული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. აგრეთვე ვაქცინაციის ეფექტის გასაძლიერებლად, სტრესული მდგომარეობების შედეგების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, კერძოდ, ტრანსპორტირების, დაკვლის, სითბური სტრესების დროს.

ვიტამინები და ამინომჟავები

ვიტამინების და ამინომჟავების შემცველი პრეპარატების გამოყენება ხელს უწყობს გოჭების ნორმალურ ზრდა-განვითარებას, ასევე მათი გამოყენება აუცილებელია ღორის მაკობის დროს. გოჭის დასუსტების დროს, რომელიც ვითარდება არადაბალანსებული კვების, სტრესის, ვაქცინაციის შემდეგ, ანტიბიოტიკებით და კოქციდიოსტატიკებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინის შემცველი პრეპარატების გამოყენება გოჭების ადრეული ასაკიდან. შემდეგი სქემით პრეპარატი კეთდება ღრმად კუნთში, პროფილაქტიკა: 1 – მლ დაბადებიდან 2-4 დღის ჩათვლით. მკურნალობა: 2 მლ პრეპარატი ანემიის პირველი ნიშნების გამოვლენიდან ან დაბადებიდან მე-7-21-ე დღის ჩათვლით.

კოქციდიოსტატიკები

კოქციდიოსტატიკები გამოიყენება გოჭის კოქციდიოზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის. მაქსიმალური პროფილაქტიკური ეფექტის მისაღწევად და იმისათვის, რომ შემცირდეს ოოცისტების გარემოში გამოყოფა, კოქციდიოზის მიმართ არაკეთილსაიმედო მუხრნეობებში კოქციდიოსტატიკები უნდა დაენიშნოს გოჭებს პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე, ან საკვებში დანამატის სახით. კერძოდ კი კოქცილიპი, რომელიც ეხმარება ნაწლავის ოპტიმალური მიკროფლორის შენარჩუნებაში, რაც უზრუნველყოფს კოქციდიოზის პროფილაქტიკას და ამცირებს მეორადი ბაქტერიული ენტერიტი-ბის განვითარებას.



ფერმის ბიოსაფრთხოება

ღორის ფერმის ტერიტორია აუცილებლად უნდა იყოს დამორებული დასახლებული პუნქტიდან არანაკლებ 1-2 კილომეტრით. ცენტრალური გზიდან დამორება უნდა შეადგენდეს 300 მეტრს. ფერმის სრულ ტერიტორიას გარს უნდა ჰქონდეს შემორტყმული მყარი ღობე, რათა თავიდან იქნას აცილებული ტერიტორიაზე გარეული ან შინაური ცხოველების და უცხო პირების შემოსვლა. ფერმის შენობებს შორის დამორება მინიმუმ 30 მეტრს უნდა შეადგენდეს. ფერმის ტერიტორიაზე ასევე უნდა იყოს განთავსებული ცალკე საწყობი სპეც. მოწყობილობებისთვის, მომსახურე პერსონალისთვის, დაცვის სამსახურისთვის და ვეტერინარული ოთახი, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება ასევე ცხოველის გაკვეთა ლაბორატორიაში გასაგზავნი პათ. მასალის აღება.


დეზობარიერი

ფერმის ყველა შესასვლელში უნდა დამონტაჟდეს დეზობარიერიბროგორც პერსონალისთვის, ასევე სპეც. ტრანსპორტისთვის, რომელსაც უწევს ფერმის ტერიტორიაზე გადაადგილება. დეზობარიერებში უნდა განთავსდეს უნივერსალური ფართო სპექტრის სადეზინფექციო საშუალებები, რომელიც მოქმედებს ვირუსებზე, ბაქტერიებზე, სოკოებზე და სხვა დაავადებების აღმძვრელებზე.



ღორის ფერმის რეცხვა

ფერმაში ღორის სულადობის შეყვანამდე იწყება მისი დასუფთავება მექანიკური ნარჩენებისგან, რის შემდეგაც იწყება კედლების იატაკის, ჭერის, დოლფარის და ინვენტარის რეცხვა მაღალი წნევის მქონე შესასხურებელი აპარატით. გასარეცხად გამოიყენება სპეციალური ქაფწარმომქმ-ნელი სითხეები.



დეზინფექცია

რეცხვის შემდეგ იწყება დეზინფექციის ჩატარება, რომლის მიზანია დარჩენილი ბაქტერიებისგან გასუფთავება. ფერმებში და მის გარე ტერიტორიაზე სისტემატიურად უნდა ხდებოდეს დეზინფექციების ჩატარება უნივერსალური ფართო სპექტრის სადეზინფექციო საშუალებებით, ასევე ინვენტარის და ტექნიკის დამუშავება.

საჭიროა ფერმაში მოხდეს ჰაერის დეზინფექცია ფუმिგანტის საშუალებით (იგივე ფერმის დაბოლება). საჭიროა ფერმის ტერიტორიაზე მოხდეს წყლის სინჯის პერიოდული აღება და ლაბორატორიული შემოწმება, რამდენად მისაღებია სასმელი წყალი დასაღევად, საჭიროების შემთხვევაში, წყლის ფილტრის დაყენება, ან წყლის მუდმივი დეზინფექციის ჩატარება წყალბადის ზეჟანგის საშუალებით.



დეზინსექცია და დერატიზაცია

სისტემატიური სახე უნდა ჰქონდეს ფერმის ტერიტორიაზე დეზინსექციას და დერატიზაციას, ბრძოლას მწერების და მღრღნელების წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად სხვადასხვა დაავადებების მატარებლები და გადამტანები არიან. შიდა და გარე პერიმეტრის სადეზინსექციოდ გამოიყენება დელტამეტრინის, ალფა ციპერმეტრინის და დაზინონის შემცველი საშუალებების გამოყენება, შესხურების მეთოდით. სადერატიზაციოდ გამოიყენება ბრომდიალონის და ბროდიფაკუმის ფუძეზე დამზადებული მზა მისატყუარები, რომელებიც თავსდება სპეციალურ ყუთებში და თავსდება ფერმის გარშემო პერიმეტრზე.



მომსახურე პერსონალი

ღორის ფერმაში მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეციალური გამოსაცვლელი კუთხე, სადაც ჩაიცვას სპეც. ტანსაცმელი, რომელიც იქნება სუფთა. სპეც-ტანსაცმელი: ხალათი, კომბინიზონი, ბახილი, თავსაბურავი, ხელთათმანები, სპეც. ფეხსაცმელი. ფერმაში მომუშავე პერსონალს არ უნდა ჰყავდეს სახლში ღორი, რადგან ეს შეიძლება გახდეს მიზეზი ღორის გადამდები დაავადებების გავრცელების.

ღორის ჯიშები

მსოფლიოში დაახლოებით ღორის 100 ჯიშია გავრცელებული. ძირითადი ჯიშები ევროპის უმეტეს ქვეყნებში არის იორკშირი (იტალია, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და ლანდრასი (დანია, გერმანია, ნორვეგია, ნიდერლანდები, გერმანია, შვედეთი, ბელგია). ღორის ჯიშის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს ხორცის წარმოების პროცესის ბევრ ასპექტს: გოჭების პოტენციურ რაოდენობას, კვების ეფექტურობას, ხორცის ხარისხს. არის ღორების ჯიშები რომლებიც კარგად ვერ ითვისებენ საკვებს, აქვთ დაბალი წონა და გამოირჩევიან დაბალი ნაყოფიერებით. ღორის მსხვილ, საშუალო და მცირე მუწუნებებში, ასევე ეკო-ფერმებსა და საოჯახო მუწუნებებში ძირითადად მოშენებულია პირველი სამი ჯიში: ლანდრასი, დიუროკი, იორკშირი.

მსხვილი თეთრი ცნობილი კომერციული ჯიში, რომელიც 100 წელზე მეტია გამოყვანილია ინგლისში. ჯიში მთლიანად თეთრია, მაგრამ ასევე არის სხვა ფერის, მაგალითად, შავი პიგმენტური ლაქებით. ამ ჯიშის ღორს აქვს ზომიერად გრძელი თავი და ოდნავ ამოზნექილი ფართო სხეული. კისერი თხელია, გრძელი და თანაბრად სავსე მხრებამდე, მკერდი ღრმა და განიერია, ზურგი გრძელი, თანაბარი და განიერი. ამ ჯიშის ზრდასრული ღორი იწონის 300-დან 450კგ-მდე აღწევს. ჯიში ხასიათდება მაღალპროდუქტიულობით და საკვების ეფექტური ათვისებით.



ეს ჯიში გამოიყენება ბეკონისა და ღორის დასამზადებლად, მათი ხორცი მაღალი ხარისხისაა, უცხიმო და წვნიანი. ჯიში კარგად ეგუება კლიმატური პირობებს, ნაყოფიერია და სწრაფად აღწევს სარეალიზაციო წონას.

ლანდრასი ცნობილი კომერციული ჯიში, რომელიც გამოიყვანეს დანიაში. ბევრი მეღორეობის მუწუნებობა აშენებს ამ ჯიშს. ნეზები ხასიათდებიან კარგი დედობრივი თვისებებით, უხვი რძიანობით და მსხვილ გოჭის მიღებით. ეს ჯიში ხასიათდება მოთეთრო ფერით, ძალიან გრძელი სხეულით, ღრმა მხარეებით, შედარებით მოკლე ფეხებით, მძიმე ჩამოკიდებული ყურებით. ლანდრასის ჯიშს მეტი მჭლე ხორცი აქვთ. ჯიში ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით, სწრაფი ზრდით და საკვების კარგი მონელებით. ზრდასრული ღორი იწონის 380 კგ-მდე.



დიუროკი კიდევ ერთი ცნობილი კომერციული ჯიში, თავდაპირველად ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ღორის ჯიში. ახლა ის კლასიფიცირდება როგორც საშუალო ზომის. ცნობილია, რომ ღორებს აქვთ შესანიშნავი წონის მატება და საკვების კარგი კონ-ვერსია. ხასიათდება ადრეული სიმწიფით, იძლევა ბევრ გოჭს (15 სულამდე) და აქვს გამოსატული დედობრივი ინსტინქტები. გოჭები ადვილად იკვებებიან და ადრეულ ასაკში იწყებენ ჭამას. ამ ჯიშს აქვს მაღალი ხარისხის ხორცი, ცოცხალი მასით



დაახლოებით 350-400 კგ-მდე. ღორის ფერი ზომიერად წითელი, მის ხორცს იყენებენ ბეკონის და ღორის წარმოებისთვის. ნელდი ხორციც მაღალი ხარისხისა, შესანიშნავი საგემოვნო თვისებებით.

კახური ღორი წარმოადგენს უძველეს ენდემურ ჯიშს. გარეული ღორის მოშენაურების შემდეგ ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა ცალკე ჯიშად. განეკუთვნება მომთაბარე ტიპს. ფერად შავია, ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მოწითალო. აქვს უხეში კონსტიტუცია. სქესობრივად გვიან მწიფდება. გარემო პირობებს ადვილად ეგუება, ნაკლებმომთხოვნია. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალს და ნაკლებ ნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს. კერატის ცოცხალი მასაა 110-120 კგ, ნეზვის კი 95-100 კგ. ნაყოფიერება 7-8 გოჭი, მერძე-



ულობა 30-40 კგ. გასუქების პერიოდში დღელამური წონამატია 300 გრ. 1 კგ წონის მოსამატებლად სჭირდება 8,5 საკვები ერთეული. აქვს მაღალხარისხოვანი მჭლე ხორცი, ხორცის გამოსავალია შეადგენს 64%, ქონისა 20-21%. კახური ღორი გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: თიანეთი, ახმეტა, თელავი, ყვარელი, დუშეთი და სხვა.

ღორის გამოზრდა

ჯანმრთელი გოჭის მიღება და გამოზრდა

გოჭების მაღალი შენარჩუნების მისაღწევად სამი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული. პირველ რიგში, ღორი და გოჭი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაკე ღორებს სჭირდებათ კვების სწორი რეჟიმი და მკაფიოდ განსაზღვრული დროულად განხორციელდეს მოვლის პროცესები მშობიარობის წინ და მის შემდეგ.

გოჭების სიკვდილიანობის მიზეზები მსოფლიოში განსხვავებულია. დანიაში გოჭების სიკვდილიანობის უმეტესობა გამოწვეულია ლაქტაციის პირველი ოთხი დღის განმავლობაში. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი არის შიმშილი და სისუსტე. მეხუთე დღემდე კი სიკვდილის სამი ძირითადი მიზეზია სისხლის მოწამვლა (31%), განუვითარებელი გოჭები (13%) და დედა ღორის მიერ გოჭის გაჭყლეტვა (15%).



გოჭისთვის ხსენის რაოდენობრივი მიღება და დოლფარაში შესაბამისი ტემპერატურა დაბადების შემდეგ გადამწყვეტია გოჭის გადარჩენისთვის ძუძუთი კვებამდე. გართულებული მშობიარობის დროს აუცილებელია მოხდეს დახმარება სუსტ გოჭებზე, რომლებიც ვერ წოვენ ხსენს და რძეს, მშობიარობის შემდეგ აუცილებელია გავიგოთ რამდენი გოჭი დაიბადა და რამდენი მათგანია პატარა და საჭიროებს დამატებით მოვლას. ახალშობილი გოჭები დაბადებიდან ადვილად

ცივდებიან, რადგან არ აქვთ ჩამოყალიბებული ბუნების საფარველი, კანქვეშა ცხიმის ფენა, ამიტომ საჭიროა პირველ საათებში სხეულის ტემპერატურის გაზრდა, რომელიც მიიღწევა გამათბობელი ნათურების დაყენებით დოლფარის უკანა მხარეს, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან სითბოს.

ჯანმრთელი გოჭის ცოცხალი მასა პირველი 10 დღის განმავლობაში იზრდება 2,5 ჯერ, ერთი თვის ასაკში 5 – ჯერ, ხოლო 2 თვის ასაკში 11-ჯერ. ახალშობილ გოჭებს დღეში სჭირდება 7-10 მგ რკინის მარილი, დედის რძიდან გოჭი ღებულობს 1 მგ-ს, რაც იწვევს სისხლში ჰემოგლობინის ნაკლებობას და ნივთიერებათა ცვლის მოშლას. ანემია მკვეთრად შეიმჩნევა მესამე დღიდან. ანემიის პროფილაქტიკისთვის გამოიყენება რკინის პრეპარატებით, ჰეროდექსინის ინექცია კუნთში 2-4 დღემდე ან 7-21 დღემდე.

გოჭის ადრეული ასხლეტა ეკონომიკურად გამართლებულია, რაც იძლევა საშუალებას ერთი ქუბიდან 2-ზე მეტი მოგების მიღწევას წლის განმავლობაში. ასხლეტა იწყება 26 დღიდან 42 დღემდე. ასხლეტილ გოჭს სჭირდება სისუფთავე, ცხაურა იატაკი და მოსვენებისთვის სპეციალური რეზინის ხალიჩა. ასხლეტილ გოჭს ეძლევა სპეციალური საკვები (პრესტარტერი), რომელიც კარგად არის დაბალანსებული პროტეინის, ცხიმით და მიკრო-მაკრო ელემენტებით.



ღორის სუქება და მოვლა

სასუქ ღორს ინახავენ ჯგუფურად დოღფარაში (10-12 სული). სუქებაზე გადაჰყავთ ასხლეტილი მოზარდები, რომლებიც კასტრირებული არიან 20 დღემდე ასაკში. სუქების ეფექტურობა დამოკიდებულია კვებაზე, შენახვის პირობებზე და სულადობის ჯანმრთელობაზე. სასუქი ღორის საკვების დაბალანსება უნდა მოხდეს პროტეინის, ვიტამინების და მინერალების შემცველობის მიხედვით. სუქება უნდა მოხდეს მაქსიმალურად მოკლე პერიოდში (მაქსიმუმ 6 თვე), რაც მიიღწევა კარგი ხარისხის საკვებით, რომელიც დღის განმავლობაში უნდა მიეცეს 2-ჯერადად.

სასუსქი სულადობა იწონება სუქებაზე დაყენებამდე და შემდეგ ყოველ 30 დღეში, რათა კონტროლო გაეწიოს წონის მატების მაჩვენებლებს. სასუქად გადაყვანილი მოზარდი უნდა იყოს თანაბარი წონის, დოღფარის ფართი ერთ სულზე 1 კვ.მ., ზრდასრულის შემთხვევაში 1,5 კვ.მ. კვების ფრონტი (საკვებურის სიგრძე) ერთ სულზე 30 სმ. სასმელი წყალზე წვდომა შეუზღუდავად. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 75%. დოღფარის იატაკი უნდა იყოს მყარი და რეცხვადი. სუქების პერიოდი გრძელდება სანამ არ მიიღწევა 110-120 კგ ცოცხალი წონა, დღიური წონამატი უნდა მიიღწეოდეს არანაკლებ 800 გრ.

მაკე და მანოვარა ღორის მოვლა

ქუბი მდებარეობითი სქესის ასაკობრივი ჯგუფის ღორია, მათი შერჩევა ხდება შემოწმებული ჯგუფიდან. ქუბების სულადობის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფერმაში საერთო სულადობის 8%-ს. მათი მაქსიმალური პროდუქტიულობის პერიოდი შეადგენს 5 წელს. ქუბის პროდუქტიულობა დამოკიდებულია გენეტიკაზე, ჯანმრთელობაზე, კვებაზე და შენახვის პირობებზე. ქუბის მაკეობის ხანგრძლივობა შეადგენს 114 დღეს. ერთი ქუბიდან წელიწადში მიიღება 20-22 გოჭი 2 და მეტ მოგებაზე. მათი ცოცხალი მასა მიიღწევა 2 ტონის ფარგლებში.

ქუბის დაგრილებამდე სასურველია რამოდენიმე დღით ადრე მიეცეს გაძლიერებული კვება, რაც ხელს უწყობს დამაკვების ალბათობის გაზრდას. ნაყოფის ინტენსიური ზრდა იწყება მაკეობის მე-80 დღიდან. მაკე ღორისთვის აუცილებელია მოციონი (სეირნობა). მოძრაობა დადებითად მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე. მაკე ქუბის შენახვა ხდება ინდივიდუალურ დოღფარაში. მოგების ჩასატარებლად საჭიროა სუფთა გარემო, სადაც არის ჩატარებული დეზინფექცია. ახალშობილ გოჭს ამშრალევენ და ცხვირიდან აცლიან ლორწოს, აჭრიან ჭიპლარს და ამუშავებენ იოდზეპის სპრეით. სანამ გოჭები დაიწყებენ წოვას აუცილებელია ცურის გასუფთავება. თუ გოჭი წვეტიანი კბილით დაიბადა, ისინი აზიანებებენ ძუძუს, ამიტომ საჭიროა სპეციალური კბილის საკვანეტელათი კბილის ჩამოტეხვა.

გზამკვლევი ღორის მოშენებაში

მაწოვარა ქუბის კვების ნორმა დამოკიდებულია მის ასაკზე, ცოცხალ მასაზე, გოჭების რაოდენობაზე. თუ ქუბს ჰყავს 10 გოჭი დღიურად ეძლევა 7 საკვები ერთეული, კალციუმი 29 გრ, ფოსფორი 39 გრ, მონელებადი პროტეინი 55 გრ. წოვების პერიოდში (მაქსიმუმი 60 დღე) ქუბი გამოიმუშავებს 300 ლიტრ რძეს, რომელიც მდიდარია რძის შაქრებით, ცხიმებით, ვიტამინებით, ანტისხეულებით და სხვა საზრდო ნივთიერებებით. მაწოვარა ქუბს საკვები ეძლევა დღეში 3-ჯერ, წყალი - მუუზღუდავად.




ღორის ფერმის ინვენტარი და ტექნიკა



ავტომატური საკვებური



კვების სისტემა



წუზვის სადგომი



ღორის და გოჭის საკვებურები



სარწყულებელი



დასაფიქსირებელი



მარიცავტომატი



გრანულატორი



კუდის საჭრელი



კბილის საკვნიტი

ღორის კვება

კვების თავისებურებანი

ღორის ხორცის წარმოების თვითღირებულების 70% საკვების დანახარჯზე მოდის. საკვების ყველა საზრდო ნივთიერების დაბალანსება და ღორის რაციონალური კვება წონამატის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი სწორი გზაა. ღორს საკვებად მუდამ სჭირდება ორგანული ნივთიერებები, კერძოდ პროტეინი, ამინომჟავები, ცხიმები, ვიტამინები მინერალური ნივთიერებები და სხვა. აღნიშნული ნივთიერებები საჭიროა სწრაფი ზრდისთვის, მაკობის დროს ემბრიონის განვითარებისთვის და სხვა.



ღორის საკვებად ძირითადად გამოიყენება მარცვლოვანი საკვები: ქერი, სიმინდი, ხორბალი ქატო, სოი-ოს შროტი და მზესუმზირის კოპტონი.

ქერი ყველაზე კარგი საკვებია, განსაკუთრებით გოჭებისთვის, რაც დაკავშირებულია კბილების და კუჭ-ნაწლავის განვითარებასთან. ქერი დადებით გავლენას ახდენს ხორცის ხარისხზე და მის საგემოვნო თვისებებზე. 1 კგ ქერი შეიცავს 1,2 საკვებ ერთეულს, 90 გრ მონელებად პროტეინს, ქერის გამოყენება რაციონში შესაძლებელია მაქსიმუმ 50%-მდე.

სიმინდი მდიდარია ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლებით და ცხიმით. 1 კგ სიმინდი შეიცავს 1,35 საკვებ ერთეულს, 78 გრ მონელებად პროტეინს, მცირე რაოდენობით ამინომჟავებს. სიმინდის ღერძი-ლი სხვა მარცვლეულთან ერთად გოჭს ეძლევა 25-30%, ქუბებს ეძლევა 60%-მდე. სიმინდი უნდა იყოს ყვითელი, არ უნდა იყოს დაობებული ან მიკოტოქსინებით დაბინძურებული, რაც გამოიწვევს სულადო-ბის ზრდაში ჩამორჩენას და მოწამვლას.

ხორბლის გამოყენება დასაშვებია მცირე რაოდენობით მაქსიმუმ 20%, ძირითადად გამოიყენება ხორბლის ქატო, რომლის 1 კგ შეიცავს 0,71 საკვებ ერთეულს, 126 გრ მონელებად პროტეინს, 103 გრ ნელ უჯრედანას. ქატო მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით და ფოსფორით. ოთხ თვემდე ასაკის გოჭების საკვებს ემატება ქატო 15%-მდე, ექვს თვემდე მოზარდს 30%, სხვა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებს 35%-მდე.

სოიო დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმს და პროტეინს. 1კგ სოიოს კვებითი ღირებულება შეადგენს 1,38 საკვებ ერთეულს და 200 გრ მონელებად პროტეინს, რაც საგრძნობლად აღემატება სხვა საკვებ კულტურებს. სოიოს პროტეინი კარგად იხსნება წყალში და გამოირჩევა მაღალი ბიოლოგიური სრულფასოვნებით. ულუფაში სოიო გამოიყენება შროტის სახით.

მზესუმზირის კოპტონი გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით, 1 კგ შეიცავს 1,26 საკვებ ერთეულს და 40% პროტეინს. მდიდარია მცენარეული ცხიმით, ამინომჟავებით, განსაკუთრებით ლიზინით და მეთიონინით.

საკვების მომზადება უშუალოდ კვების წინ აუმჯობესებს ხორცის საგემოვნო თვისებებს, მონელების პროცესს და ამაღლებს მის ყუათიანობას. მარცვლეული საკვები უნდა დაიღერდოს წვრილად, არ შეიძლება დაფქვა, რადგან წმინდად დაფქვილი საკვები რთული მოსანელებელია, იწვევს ნაწლავის ფუნქციის მოშლას. დიდი ყურადღება ეთმობა საკვების და საკვებურის ჰიგიენას. საკვებურის სისტემატიური რეცხვა აუცილებელია განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, რაც გამორიცხავს მავნე ბაქტერიების გამრავლებას და, შესაბამისად, კუჭნაწლავის პათოლოგიებს.

ღორის ფერმაში საკვების მიცემა უნდა იყოს ავტომატიზირებული, რაც უზრუნველყოფს დროულ და თანაბარ მიწოდებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვების კონსისტენციას. მშრალი საკვები პირის ღრუში ქუცმაცდება და ნერწყვთან ერთად გაივლის საყლაპავ მილს და მონელება გრძელდება კუჭში.

პირის ღრუში გამოყოფილი მომწებელი ფერმენტები და კუჭის წვენი 2-3 სთ-ში შლის ცილას და ცხიმს მარტივ ნაერთებად. როცა ღორს ეძლევა თხიერი საკვები, პირის ღრუში ნერწყვი თითქმის არ გამოიყოფა, შესაბამისად, რთულდება საკვების ათვისება და მოწებების პროცესი.

გოჭის კვება

გოჭი დაბადებიდან ორი კვირის განმავლობაში იკვებება ხსენით და რძით. დამატებითი საკვების მიცემა რეკომენდებულია ათი დღიდან სპეციალური გრანულირებული პრესტარტერის სახით, ან მოხალული ქერის სახით. პრესტარტერი ეძლევა მცირე ულუფებად დღეში 4-ჯერ. გოჭს წყალი ეძლევა ავტომატური სარწყულებლით შეუზღუდავად. კონცენტრირებული საკვები საწყის პერიოდში ეძლევა 30 გრ სულზე, რაც თანდათან იზრდება და 2 თვის ასაკში 700 გრ აღწევს. გოჭის საკვებს უნდა ჰქონდეს დამატებული კოქციდიოზის საწინააღმდეგო ორგანული დანამატი (კოქცილიპი) და ზრდის ორგანული სტიმულატორი ჰიჯიენ პრო.



ასხლეტიდან 15-20 დღის განმავლობაში გოჭს უნარჩუნდება კვების იგივე ტიპი, რაც იყო ასხლეამდე. გოჭის დედისგან მოცილება იწვევს ძლიერ სტრესს, რაც გამოიხატება იმაში, რომ გოჭი ღებულობს ბევრ საკვებს, ვერ ამუშავებს მას, მოუნელებელი საკვები გადადის ნაწლავებში და ვითარდება მოწამვლა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასხლეტილ გოჭს უმცირდება საკვები და სრული რაოდენობა ეძლევა 10 დღის შემდეგ ეტაპობრივად. გოჭის კომბინირებული საკვების 1 კგ უნდა შეიცავდეს (გრ-ში) 1,15 საკვებ ერთეულს, 12,4 მიმოცვლით ენერგიას, 175 გრ ნედლ პროტეინს, 7,7 ლიზინს, 4,5 მეთიონინს, 3,5 სუფრის მარილს, 8 კალციუმს და 6,5 ფოსფორს.

ასხლეტილი გოჭის საკვების შემადგენლობა %-ში

- ქერი – 35
- შვრია – 10
- ხორბალი – 15
- ქათო – 10
- სოიოს შროტი – 20
- ჭვავი – 5
- მინერალური დანამატი – 5

სასუქი მოზარდის კვება

ღორის სუქება ხორცის წარმოების დამამთავრებელი ეტაპია. მისი ორგანიზებულად წარმართვა უშუალოდ განაპირობებს საბოლოო შედეგებს, ხორცის ხარისხს და პროდუქციის თვითღირებულებას. სუქების მიზანს წარმოადგენს ღროის მცირე მონაკვეთში მაქსიმალური წონის მიღება, საკვების და შრომის ნაკლები დანახარჯით. მეღორეობის დარგიდან მიღებული შემოსავლის 70%-ზე მეტი სუქებაზე მოდის. რაც იმაზე მიუთითებს, რომ სუქების ორგანიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.



სუქების ეფექტურობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს: სუქების ტექნოლოგია, კვება, ჯანმრთელობა და სულადობის გენეტიკა. საკვების ხარისხი გავლენას ახდენს ხორცის ხარისხზე და საგემოვნო თვისებებზე. სუქების პერიოდი გრძელდება მანამ, სანამ სულადობა არ მიაღწევს 120 კგ ცოცხალ წონას, აღნიშნული მასა მიიღწევა 6-7 თვის ასაკში. ხორცის გამოსავალი უნდა შეადგენდეს 75 %-ს. სასუქი ღორის მოთხოვნა პროტეინზე ასაკთან ერთად იცვლება. 7 თვის ასაკამდე ერთ საკვებ ერთეულზე საჭიროა 110 გრ პროტეინი. ულუფაში პროტეინის შემცირება იწვევს წონამატის შემცირებას, საკვების დანახარჯის გაზრდას და სუქების პერიოდის გახანგრძლივებას. სასუქ ღორს საკვები ეძლევა დღეში 2 – ჯერ დღის ერთიდაიგივე პერიოდში. სასუქი ღორის შენახვა შესაძლებელია 10 სულიან დოლფარაში, სულადობა უნდა იყოს თანაბარი წონის. ღორების გასასუქებლად გამოიყენება გრანულირებული მზა საკვები – "ფინიში" 40-დან 120 კგ-მდე.

ბოლო პერიოდში წარმატებით გამოიყენება პრემიქსები, როგორც დანამატები მარცვლეულის ნარევებსა და სხვა საკვებში. ისინი ასევე ხელს უწყობენ ღორების მაღალ პროდუქტიულობას და რძის წარმოებას. პრემიქსები წარმოადგენს მაღალ ცილოვან საკვებს, რომელიც მზადდება მეცნიერულად დადასტურებული რეცეპტების მიხედვით. მთავარი განსხვავება ცილოვან-ვიტამინურ-მინერალურ დანამატებსა და საკვებ პროდუქტებს შორის არის ნედლი ცილის, აგრეთვე მინერალური დანამატების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გაზრდილი შემცველობა.

ასევე დიდი მოთხოვნაა გრანულირებულ საკვებზე თერმოპლასტიკური პროცესის შედეგად საკვებში შემავალი ყველა კომპონენტი შეკუმშულია. შედეგად, უმჯობესდება გემოვნების თვისებები და მნიშვნელოვნად მცირდება დანაკარგები ტრანსპორტირებისა და საკვების განაწილების დროს. ასევე, გრანულაციის შემდეგ სოკოების რაოდენობა მცირდება 80-90%-ით და მცირდება საღმონელებით დაბინძურების რისკი.

სასუქი ღორის საკვების ყუათიანობა 1 კგ

- მიმოცვლითი ენერჯია მ/ჯ – 13,0
- ნედლი პროტეინი – 17 %
- ლიზინი – 10,4 გრ
- მეთიონინი+ცისტინი – 6 გრ
- კალციუმი – 7,4 გრ
- ფოსფორი – 5,5 გრ

სასუქი ღორის საკვების შემადგენლობა %-ში

- ქერი – 30
- შვრია – 10
- ხორბალი – 20
- ქათო – 15
- სოიოს შროტი – 20
- ჭვავი – 7
- მინერალური დანამატი – 3

მაკე ნეზვის კვება

მაკეობის დროს ღორს განსაკუთრებული კვება სჭირდება. ღორმა არ უნდა მიიღოს ბევრი მაღალკალორიული საკვები. დღიურ რაციონში კვების ერთეულების რაოდენობა მცირდება 2,4-მდე. ოპტიმალური გამოსავალი იქნება საკვებში სხვადასხვა სპეციალიზებული საკვები დანამატების შერევა. მშობიარობისთვის მომზადების პერიოდად ითვლება მაკეობის ბოლო 15 დღე. ამ დროს ყოველდღიურ რაციონს

ემეტება 0,5-1 კგ ქათო, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ნაწლავურ ფუნქციაზე, რაც ხელს შეუწყობს მშობიარობის პროცესის ჩატარებას.

წვნიანი საკვები უნდა შეიზღუდოს მშობიარობის წინ, რათა თავიდან იქნას აცილებული რძის ნაადრევნი წარმოქმნა, რაც ხშირად მასტიტის მიზეზი ხდება. აღნიშნული ცვლილებები თანდათან უნდა განხორციელდეს, რადგან მოულოდნელმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს რიგი დარღვევები და გაბერებაც კი. მაკე ღორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სუფთა წყალზე მუდმივი წვდომა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ღორმა სითხის მიღების გამო არ დაიწყოს ახალშობილი გოჭების ჭამა.

სამი ან მეტი მოგების შემდეგ, მაკეობის პერიოდში ნეზვის ცოცხალი წონა უნდა გაიზარდოს 35-40 კგ-ით, აღნიშნული ნამატი ნაწილდება შემდეგნაირად: 20-25 კგ მაკეობის პროდუქტზე და 15 კგ სხეულის წონაზე.

ყუათიანობის მოთხოვნა მაკე ღორის 1 კგ საკვებზე

- მიმოცვლითი ენერჯია მ/ჯ – 11,0
- ნედლი პროტეინი – 12%
- ლიზინი – 5,5 გრ
- კალციუმი – 7 გრ
- ფოსფორი – 4,5 გრ
- ნატრიუმი – 2 გრ

მაკე ღორის საკვების შემადგენლობა %-ში

- ქერი – 40
- შვრია – 10
- ხორბალი – 5
- ქათო – 10
- მშრალი ქენქო – 15
- ბალახის ფქვილი – 15
- ლუდის საფუარი – 2
- მინერალური დანამატი – 2

საკვები დანამატები მეღორეობაში

საკვები დანამატები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ღორის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებაში. მეღორეობის პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს ცვლილებები შეეხო ღორის გენეტიკას, კვებას და ფერმის მენეჯმენტს. ღორის ხორცის მრეწველობის განვითარებაში გაუმჯობესება მოხდა სწორედ საკვები დანამატების გამოყენების წყალობით. მეღორეობაში გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფის საკვები დანამატები: ფერმენტები, პრობიოტიკები, პრებიოტიკები, ორგანული მჟავები, მიკოტოქსინების ადსორბენტები და სხვა.

ანტიბიოტიკები და მათი ალტერნატივები

ანტიბიოტიკებს ფართოდ იყენებდნენ ღორის ზრდის გასაუმჯობესებლად და დაავადებისგან დასაცავად. თუმცა ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის განვითარებისა და ადამიანის ორგანიზმზე მათი გავლენის გამო, ამ პრეპარატების გამოყენება მკაცრად რეგულირდება. ამიტომ დღეს ანტიბიოტიკების ალტერნატივის პოვნის სულ უფრო აქტუალური ხდება. პრებიოტიკებისა და

პრობიოტიკების, როგორც ანტიბიოტიკების შემცველის პოპულარობა იზრდება. აღნიშნული საშუალებები ასტიმულირებს საკუთარი სასარგებლო მიკროფლორის ზრდას და თრგუნავს პათოგენური ბაქტერიების განვითარებას, რაც დადებითად აისახება იმუნურ სისტემაზე და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ფერმენტები

ფერმენტები ზრდის გამოყენებული საკვების ეფექტურობას, მაგალითად: ფიტაზა, კარბოჰიდრაზა, პროტეაზა, ლიპაზა. ეს დანამატები აუმჯობესებენ საკვები ნივთიერებების შეწოვას, რაც განაპირობებს ზრდის უკეთეს ტემპს და საკვების კონვერსიის გაუმჯობესებას. ფერმენტები ხელს უწყობენ ცილის უკეთ მონელებას, რაც უზრუნველყოფს გოჭის უკეთეს ზრდას და ნაკლებ მოუნელებელი ცილის მოხვედრას მსხვილ ნაწლავში, ეს ყოველივე ართმევს პათოგენურ მიკროფლორას გამრავლებისთვის საჭირო პირობებს.

ანტიოქსიდანტები

ანტიოქსიდანტები ძირითადი დანიშნულებაა ფრინველის დაცვა ოქსიდაციური სტრესისგან. ვინაიდან გოჭი სწრაფად იზრდება, მათი მეტაბოლიზმი მაღალია, რაც იწვევს თავისუფალი რადიკალების დაგროვებას. თავისუფალ რადიკალებს შეუძლიათ გაანადგურონ უჯრედები და იმოქმედონ იმუნურ სისტემაზე. მედორეობაში გამოყენებული საერთო ანტიოქსიდანტებია ვიტამინები E, C, სელენი და ბუნებრივი ინგრედიენტები, როგორიცაა პოლიფენოლები. ანტიოქსიდანტები ასევე გამოიყენება საკვების კომპონენტების დასაცავად.

კოქციდიოსტატიკები

კოქციდიოსტატიკები აქტიურად გამოიყენება კოქციდიოზის საწინააღმდეგოდ. არსებობს კოქციდიოსტატიკების ორი ძირითადი ტიპი: იონოფორები და ქიმიური კოქციდიოსტატიკები. იონოფორები ამცირებენ კოქციდიების გამრავლების უნარს, ხოლო ქიმიური კოქციდიოსტატიკები აფერხებენ პროტოზოების მეტაბოლიზმს. ბიოლოგიურ კოქციდიოსტატიკს წარმოადგენს კოქცილიპი, რომელიც გამოიყენება გოჭის გამოზრდაში განსაკუთრებით საწყის პერიოდში.

ორგანული მჟავები

დორში ძალიან მნიშვნელოვანია ნაწლავის ჯანსაღი მიკროფლორის შენარჩუნება. მჟავე ნივთიერებები, ორგანული და არაორგანული, ხელს უწყობს pH ბალანსის შენარჩუნებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. მჟავე გარემო ქმნის არახელსაყრელ პირობებს პათოგენური მიკროორგანიზმებისთვის, ხოლო სასარგებლო ბაქტერიები, პირიქით, აქტიურად იზრდებიან და მრავლდებიან.

მიკოტოქსინების ადსორბენტები

მიკოტოქსინები წარმოადგენენ სოკოვან ტოქსინებს, რომლებიც გვხვდებიან საკვების ზედაპირებზე და მარცვლულ კულტურებში. ტოქსინები საფრთხეს უქმნის დორის ჯანმრთელობას, იმუნურ და რეპროდუქციულ სისტემებს. მიკოტოქსინების ადსორბენტები ბოჭავენ მათ და ახდენენ ადსორფციას. მედორეობაში ეფექტურად გამოიყენება მიკოტოქსინების საწინააღმდეგოდ ფინტოქს მაქსი, სუპერანტი-ტოქსი და სხვა. მათი შერევა ხდება საკვებში.

ფერმის მენეჯმენტი

მეღორეობის მენეჯმენტი განუთვნილია მეხორცეული ფერმის აღრიცხვის ავტომატიზაციისთვის, ღორის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავებისთვის. ფერმის მენეჯმენტი ითვალისწინებს ინდუსტრიული საწარმოების სპეციფიკას, საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს შემდეგ შესაძლებლობებს:

- აღრიცხვის წარმოება
- ღორის და გოჭის სულადობის აღრიცხვა
- წონის მატება, საკვები დღეების რაოდენობა
- საკვების მოხმარების დაგეგმვა
- საწვავის და საპონი მასალების, გადაადგილების ჩანაწერების წარმოება
- გაყიდვების, წარმოების და შესყიდვების დაგეგმვა
- საწყობის მართვა
- საცალო ვაჭრობის მენეჯმენტი
- ბიუჯეტირება და ნაღდი ფულის მენეჯმენტი
- სახელფასო და პერსონალის მართვა

ფინანსური მენეჯმენტი

ფინანსური მენეჯმენტის სისტემა ორიენტირებულია შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, მონიტორინგისა და აღრიცხვის პრობლემების ყოვლისმომცველ გადაწყვეტაზე. ის საშუალებას აძლევს საწარმოს ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი სახსრები და მოზიდული ინვესტიციები და გააუმჯობესოს ბიზნესის მართვა მთლიანობაში. დანერგილი მექანიზმები ოპტიმიზაციას უკეთებს გამოყენებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ხდის კომპანიის მუშაობას გამჭვირვალეს შიდა და გარე აუდიტისთვის და ზრდის ბიზნესის საინვესტიციო მიმზიდველობას. აღნიშნული სისტემა იძლევა გადაწყვეტილებებს ფინანსური სამსახურის, დაგეგმვისა და ეკონომიკური განყოფილებების და ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანების ფართო სპექტრისთვის.

ბიუჯეტირება

ქვესისტემა ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: საწარმოს საქმიანობის და რესურსების დაგეგმვა ნების-მიერი პერიოდისთვის და სცენარებისთვის. ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრების, პროექტების, ნარჩენი და ბრუნვის ინდიკატორების, დამატებითი ანალიტიკის კონტექსტში; ფაქტობრივი შესრულების მონიტორინგი დასრულებული დაგეგმვის თვალსაზრისით, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება, ფინანსური ანალიზი, ნაღდი ფულის ხელმისაწვდომობის ანალიზი და სხვა.

წარმოების დაგეგმვა და მენეჯმენტი

წარმოების ხარჯების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა წარმოების გეგმის შექმნა და ოპტიმიზაცია. ეს საშუალებას აძლევს საწარმოს შეამციროს აღჭურვილობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შეფერხების დონე, შეამციროს შეკვეთების დრო, თავიდან აიცილოს გაყიდვების გეგმის შეფერხება წარმოების რესურსების გადატვირთვის გამო, ოპტიმიზაცია მოახდინოს მასალების და საწყობის ნაშთების მოძრაობაზე და განახორციელოს წარმოება. გახადოს პროცესი გამჭვირვალე და მართვადი.

წარმოების მართვის ქვესისტემა შექმნილია წარმოების პროცესებისა და მატერიალური ნაკადების და-გეგმვისთვის, საწარმოს წარმოების საქმიანობის პროცესების ასახვისთვის და წარმოების მართვის ნო-რმატიული სისტემის შესაქმნელად. ქვესისტემა განკუთვნილია წარმოების საშუალო და გრძელვადი-ანი დაგეგმვისა და რესურსების მოთხოვნილებებისთვის, აგრეთვე საწარმოო გეგმების შესრულების გეგმა-ფაქტების ანალიზის ჩასატარებლად. წარმოების დაგეგმვისას შესაძლებელია მრავალი პარამე-ტრის გათვალისწინება, მიზანშეწონილობის კონტროლი და გეგმის შესრულების თვალყურის დევნება სხვადასხვა ეტაპებზე ერთდროულად რამდენიმე განყოფილებაში.

გაყიდვების მენეჯმენტი

გაყიდვების მართვა უზრუნველყოფს პროდუქციისა და საქონლის გაყიდვის პროცესის ბოლომდე ავტომატიზაციას საწარმოში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ქვესისტემა მოიცავს ინსტრუმენტებს გაყიდვების დაგეგმვისა და კონტროლისთვის და საშუალებას იძლევა გადაიჭრას მომხმარებლის შე-კვეთების მართვის პრობლემები. გასაყიდი ფასები, მათ შორის კომპანიის და კონკურენტების მიმდი-ნარე ფასების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

გაყიდვების დაგეგმვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც მთლიანად საწარმოსთვის, ასევე განყო-ფილებებისთვის, მომხმარებელთა გარკვეული კატეგორიებისთვის რეგიონის მიხედვით, საქმიანო-ბის ტიპის მიხედვით. ფასების მექანიზმების კონტროლი გაყიდვების გუნდს საშუალებას აძლევს გა-ნსაზღვრონ და განახორციელონ საწარმოს ფასების პოლიტიკა ბაზარზე არსებული მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ არსებული ანალიტიკური მონაცემების შესაბამისად.

ფასების და ფასდაკლების დაგეგმვა მოითხოვს სარეალიზაციო ფასების ფორმირებას წარმოების და-გეგმილი ღირებულებისა და მოგების მარჟის გათვალისწინებით. კონკურენტების ფასების შესახებ ინფორმაციის შენახვა, მომწოდებლების ფასების შესახებ ინფორმაციის შენახვას, შესყიდვის ფასების ავტომატურ განახლებას, საწარმოს გასაყიდი ფასების შედარებას მომწოდებლებისა და კონკურენტების ფასებთან.

შესყიდვების მენეჯმენტი

სისტემა უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის ხარისხის, მასალების უწყვეტ მიწოდებას, შეკვეთე-ბის შესრულებას დაგეგმილი ვადების შესაბამისად. დაგეგმილი ღირებულების გადაჭარბების გარეშე, მნიშვნელოვანი ამოცანაა საქონლისა და მასალების შესყიდვის ეფექტური მართვა. ასევე აუცილებელია მარაგების შევსების შესახებ დროული გადაწყვეტილების მიღება, შესყიდვის ხარჯების შესამცირებლად და მომწოდებლებთან ურთიერთობის მკაფიოდ ორგანიზებისთვის, შესყიდვების ოპერაციული დაგეგმვა გაყიდვების გეგმების, წარმოების გეგმებისა და მომხმარებლის შეუსრულებელი შეკვეთების საფუძველზე. მომწოდებლებთან შეკვეთების განთავსება და მათი შესრულების მონიტორინგი.

ვეტერინარის და ზოოტექნიკოსის მომსახურება

ვეტერინარის და ზოოტექნიკოსის მომსახურება აუცილებელია მეღორეობის მდგრადი განვითარე-ბისთვის, რადგან დაავადებების მართვას და ღორის სწორ კვებას დიდი ადგილი უკავია სულადობის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაში. მცირე და საშუალო ზომის ფერმისთვის შესაძლებელია ვე-ტერინარის და ზოოტექნიკოსის დისტანციური მომსახურება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გეგმიუ-რი ვიზიტების განხორციელება.

რაც შეეხება ინტენსიურ მეღორეობას, აუცილებელია ადგილობრივად ემსახურებოდეს ვეტერინარი და ზოოტექნიკოსი სპეციალისტი. ვეტერინარი უნდა ფლობდეს ინფორმაციას საქართველოში გავრცელებული ღორის დაავადებების შესახებ, უნდა ადგენდეს ვაქცინაციების გეგმიურ პროტოკოლს, უნდა შეეძლოს გოჭის და ღორის პათ.ანატომიური გაკვეთა და დიაგნოზის დასმა, საჭიროების შემთხვევაში, პათ. მასალის ნიმუშების აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა დიაგნოსტიკისთვის. ზოოტექნიკოსის მოვალეობაა ღორის მოშენების, კვების, ჯიშების, შენახვისა და ზოოჰიგიენური პირობების დაცვა. ზოოტექნიკა შეიმუშავებს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხარისხიანი და დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქციის მისაღებად.

ლიტერატურა

1. ჯ. ბაბაკიშვილი, მ. კერესელიძე, თ. ბაბაკიშვილი „ღორის ინფექციური დაავადებები“. თბილისი, 2009 წ.
2. ჯ. ბაბაკიშვილი, მ.მამიაშვილი, თ. ცხაკაია, მ. კერესელიძე „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“ თბილისი, 2009 წ.
3. ლ. დურსტი, მ. ვიტმანი „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება“ 2003 წ.
4. გ. ვლადიმირ „დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა ღორის ინფექციური დაავადებების“ 2014 წ.
5. ნ. ზაზაშვილი, მ. ჭიჭაყუა, დ. ბოსტაშვილი „ვეტერინარული პრეპარატების ცნობარი“ 2017 წ.
6. ჯ. ნაჭყებია, ნ. ზაზაშვილი, თ. ყურაშვილი, ა. წულაია „ზოოჰიგიენა“, 2005 წ.
7. ი. შუბითიძე, გ. ბოჭორიშვილი „მეღორეობა და ღორის ხორცის წარმოების ტექნოლოგია“, 2009 წ.
8. ი. შუბითიძე, მ. ჭიჭაყუა, ნ. ზაზაშვილი, დ. ბოსტაშვილი „ორის ხორცის წარმოება ფერმერულ და ოჯახურ პირობებში“, 2014 წ.
9. ა. ჭკუასელი, ა. ჩუბინიძე, ა. ჩაგელიშვილი, დ. თოდუა, ე. ტიტვინიძე „სასოფლო სამეურნეო ცხოველთა საზრდოობის ბიოლოგიური საფუძვლები“ 2010 წ.



vetpro@eu.edu.ge 

Vetpro – CBHE Project 

Vetpro – CBHE Project 

(+995 32) 2 000 171 (125) 